ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ყოველკვირეული ორგანო

№ 18 (28) პარასკევი, 26 მაისი, 1944 წ. ფასი 1 მან.

დღეს ნომერში

— ქართული პროზა ახალი ამოცანების წინაშე (მოწინავე).
— ქართული ხელოვნების ძეგლები.
— დავით შამათავა — ალექსანდრე აბაშელის ლირიკა.
— გრიგოლ ჩიქოვანი — ზაქარია ფალიაშვილი და ხალხურობის პრობლემა.
— დიმიტრი ჯანელიძე — თეატრის მხატვარი.
— ლეო ესაკია — ნიკო ფიროსმანიშვილი.
— გიორგი ნატროშვილი — შავი მთა (მოთხრობა).
— გ. ბუხნიკაშვილი — „მზის დაბნელება“.
— ქრონიკა და ინფორმაცია.

ქართული პროზა ახალი ამოცანების წინაშე

მხატვრული ლიტერატურის, კერძოდ ბელეტრისტიკის ამოცანაა — მაღალი იდეური მიზანდასახულობით, მხატვრული სახეების რთული სისტემით აქტიური ზემოქმედება მოახდინოს ადამიანის სულის, პიროვნების, ნებისყოფის ფორმირებაზე. კარგია მხოლოდ ის წიგნი, მხოლოდ ის მოთხრობა, რომელიც აღგვაფრთოვანებს ჩვენ დღევანდელ დიდ ბრძოლებში, რომელიც უფრო მეტად აძლიერებს საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარულს სამშობლოსადმი. სწორედ ამ თვალსაზრისით მიიპყრო ფართო მკითხველთა ფენებისა და ლიტერატურული საზოგადოებრიობის ყურადღება რამდენიმე ბელეტრისტულმა ნაწარმოებმა, რომელნიც ცოცხლად ასახავენ დიდი სამამულო ომის გმირული დღეების ეპიზოდებს.

ამ ნაწარმოებთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია ლეო ქიაჩელის „მამა და შვილი“, რომელშიაც მწერალმა შესძლო ეჩვენებინა საბჭოთა ახალგაზრდობის ვაჟკაცური ბრძოლა, ფრონტისა და ზურგის მთლიანობა. ამასთან გადმოეცა წარსულის რევოლუციური ბრძოლის, კერძოდ ცხრაასხუთელი პარტიზანების ვაჟკაცური ტრადიციაც. რაც მთავარია, აქ, სადა, რეალისტური საღებავებით დახატულია პორტრეტი ქართველი გლეხკაცისა, რომელსაც თავისი სიცოცხლე ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლაში გაუტარებია და აღუზრდია შვილიც — თავისივე მსგავსად უტეხი და მამაცი. ამ მოთხრობაში სჩანს მტკიცე სული ჩვენი ხალხისა, სჩანს ის ფოლადის ნებისყოფა, რომლის წყალობითაც გაიმარჯვა საბჭოთა ხალხმა.

ასევე მაღალი შეფასება მიიღო დემნა შენგელაიას „მერხეულმა“. აქ მწერალმა მხატვრული სახეების საშუალებით გვითხრა, რომ ხალხი უკვდავია, რომ მას ვერავითარი მტერი ვერ მოერევა.

მაღალი შეფასება მიიღეს კონსტანტინე ლორთქიფანიძის ნარკვევებმა და მოთხრობებმა, („როგორ მოკვდა მოხუცი მებადური“, „ქართველები ბრძოლის ველზე“) რომლებშიც ნამდვილად იგრძნობა ომის სუნთქვა; მათში ნაჩვენები არიან შვილები ქართველი ხალხისა, რომელთაც მოძმე ხალხთა შვილებთან ერთად, დიდი რუსი ხალხის მეთაურობით გმირულად დაიცვეს კავკასიის მისადგომები და შემდეგ შეტევაზე გადასულებმა გაგლიჯეს და გაანადგურეს „ცისფერი ხაზი“ გერმანელების თავდაცვისა. ასევე აღსანიშნავია ნარკვევები ს. ჩიქოვანისა „გირლიანაიას მთაზე“, „იერიში“ და სხვ. სადაც მოთხრობილია მკაცრი და შეულამაზებელი სიმართლე ომის ცხარე დღეების, ქართველი ვაჟკაცების ბრძოლის შესახებ. ახალგაზრდა ქართველი ვაჟკაცის სულიერი სიდიადე და სისპეტაკე კარგად გადმოგვცა გრიგოლ ჩიქოვანმა თავის „დაბრუნებაში“. ნაწარმოებთა რიცხვი, რომელიც თამამად შედის ჩვენი ლიტერატურის აქტივში, ცხადია აქ ჩამოთვლილით არ ამოიწურება.

მაგრამ ყველაფერი ეს არავითარ შემთხვევაში საკმარისი არ არის. ჩვენი მკითხველი უფრო მეტს მოითხოვს და პირდაპირ უნდა ითქვას, ჩვენს მწერლობასაც მეტის მოცემა შეუძლია. საჭიროა მხოლოდ მთელი ძალღონის, მთელი შემოქმედებითი ენერგიის დაძაბვა. ეს პატარა ნოველები, რომელნიც ხშირ შემთხვევებში თავისუფლად ეტევიან ერთ ან ორ საგაზეთო ფელეტონში, ცხადია ვერ გასწევენ იმ დიდი ტილოების მაგივრობას, რეალისტური რომანის მაგივრობას, რომლებზედაც საბჭოთა ხალხის გიგანტური ბრძოლა უნდა აისახოს.

მართალია ზემო-მოხსენებული ნაწარმოებნი ყოველთვის შეინარჩუნებენ თავის ღირსებას, თავის სიმართლეს, ისინი დარჩებიან სამამულო ომის მხატვრულ დოკუმენტებად, მაგრამ დადგა დრო, როცა მწერალმა უფრო ფართოდ, უფრო სრულყოფილად უნდა გამოხატოს სახე საბჭოთა ადამიანისა, რომელმაც სასწაულების მოხდენა შესძლო. ჩვენს მწერლობას შესწევს ამისი ძალა, ჩვენ გვყავს საუკეთესო, ნიჭიერი კადრები, მაგრამ საჭიროა ისინი უფრო ახლოს გაეცნონ ომის ვითარებას, უფრო ახლოს გაეცნონ ჩვენი ძლევამოსილი წითელი არმიის ადამიანებს. სწორედ ამისათვის საჭიროა მოვაწყოთ ჩვენი მწერლების ხანგრძლივი მივლინებანი ფრონტზე. სავსებით მართალი იყო ილია ერენბურგი, როცა აღნიშნავდა, რომ ლევ ტოლსტოი ვერ დასწერდა თავის „ომსა და მშვიდობას“, რომ მას არ ჰქონოდა ის სულიერი გამოცდილებანი, რომელიც სევასტოპოლის ბრძოლების დროს შეიძინა. ფრონტი საუკეთესო სკოლაა მწერლისათვის, ამას ცხადჰყოფენ არა მარტო ისტორიული მაგალითები, არამედ თანამედროვე რუსული ლიტერატურის პრაქტიკაც. სწორედ იმიტომ არის ახლა ყველაზე უფრო ნაყოფიერი, სწორედ იმიტომ სწერს კონსტანტინე სიმონოვი კარგ მოთხრობებს, სცენარებს, საუცხოვო ლექსებს, რომ მუდმივად მომქმედ არმიაში იმყოფება. სწორედ იმიტომ გაითქვა სახელი მთელ მსოფლიოში ბორის ვოიტეხოვის წიგნმა „სევასტოპოლის უკანასკნელი დღეები“, სწორედ იმიტომ გამოაცხადეს ეს წიგნი ინგლისელმა და ამერიკელმა კრიტიკოსებმა კლასიკურ ნაწარმოებად, რომ ის დაიწერა 1942 წლის ალყაშემორტყმული სევასტოპოლის გავარვარებულ ატმოსფეროში მიღებული შთაბეჭდილებების საფუძველზე. ფრონტის უშუალო შთაბეჭდილებებით არის დაწერილი ვ. გროსმანის მოთხრობები, ტვარდოვსკის, პოემა „ვასილი ტიორკინი“, ალ. სურკოვის ლექსების ციკლი. მრავალი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ყველა თავის წარმატებას, ყოველ მიღწევას, ყოველ კარგ წიგნს რუსული მწერლობა უნდა უმადლოდეს იმას, რომ რუსი მწერლები ახლოს იცნობენ ომის ვითარებას, ახლოდან იცნობენ იმ ადამიანებს, რომელნიც საკუთარი ხელით სჭედენ ჩვენი ქვეყნის გამარჯვებას.

მწერალი ადამიანის სულის ინჟინერია. ის არ შეიძლება იყოს უბრალო რეგისტრატორი მოვლენებისა. საბჭოთა პროზამ უნდა დახატოს ომი მთელი თავისი სისრულით, უნდა მხატვრულად ნათელჰყოს რომ გამარჯვება იჭედება არა მარტო ფრონტზე, არამედ ზურგშიც, უნდა გვიჩვენოს რომ ჩვენი ბრწყინვალე ტექნიკა იმარჯვებს სწორედ იმიტომ, რომ ამ ტექნიკით დიდი სულის, დიდი მორალური ძალის ადამიანები იბრძვიან.

რა არის ახლა პრაქტიკულად საჭირო? მწერალთა კავშირმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რათა ქართველ საბჭოთა მწერლებს მიეცეთ შესაძლებლობა სრულყოფილად, საფუძვლიანად, ამომწურავად გაეცნონ ფრონტისა და ზურგის სახელოვან ადამიანებს. ამისათვის, როგორც ვთქვით, მთავარია ხანგრძლივი შემოქმედებითი მივლინებანი. მწერალთა კავშირის პლენუმზე, რომელიც ამ რამოდენიმე ხნის წინად ჩატარდა, არაერთმა მწერალმა გამოსთქვა სურვილი — მიგვავლინეთ ფრონტზე, მიგვავლინეთ კოლმეურნეობებში, ფაბრიკა-ქარხნებში. რაც უფრო ჩქარა, რაც უფრო კარგად და ორგანიზებულად განვახორციელებთ ამ ღონისძიებას — მით უფრო მოიგებს ჩვენი ლიტერატურა, მით უფრო მაღალხარისხოვანი და მდიდარი იქნება მისი მხატვრული საგანძური.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი

ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე ნარკვევი.

საქართველოს სახელგამმა გამოსცა **ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის** ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე ნარკვევი, შედგენილი საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული **მარქს-ენგელს-ლენინის** ინსტიტუტის მიერ. ამ წიგნში მეცნიერული სიზუსტით მოთხრობილია დიდი ლენინის ბიოგრაფია. ჩვენი მკითხველი მასში იპოვის ლენინის ცხოვრებისა და პოლიტიკური მოღვაწეობის ძირითადი მომენტების ცოცხლად და საინტერესოდ გადმოცემას.

ეს წიგნი უდიდეს დახმარებას გაუწევს არა მარტო ფართო პარტიულ აქტივს, არამედ მთელ საბჭოთა ხელოვნების და ლიტერატურის მუშაკებსაც, რომელნიც უაღრესი გატაცებით მუშაობენ ისეთი საპატიო ამოცანის გადაწყვეტისათვის, როგორიც არის დიდი ლენინის სახის მხატვრული გადმოცემა.

ხსენებული შრომის ქართული თარგმანი გამოვიდა ამხ. ალ. ქუთელიას რედაქტორობით. წიგნი კარგად არის გამოცემული, შეიცავს 332 გვერდს და ღირს 15 მანეთი.

მოსკოვის პრესა ქართული ლიტერატურისა და მუსიკის საღამოების შესახებ

საბჭოთა კავშირის დედაქალაქის — მოსკოვის პრესა ფართოდ გამოეხმაურა ქართული ლიტერატურისა და მუსიკის საღამოებს. გაზეთები ბეჭდავენ საღამოების რეცენზიებსა და ანგარიშებს, ქართველი მწერლების მხატვრულ ნაწარმოებებსა და სტატიებს.

„იზვესტიას“ 17 მაისის ნომერში მოთავსებულია ვრცელი საუბარი საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროს ამხ. ოთარ ევაძესთან, რომელიც ეხება რა ქართული მუსიკის კონცერტების პროგრამას, მოკლედ ახასიათებს შესასრულებლად გათვალისწინებულ მუსიკალურ ნაწარმოებებს.

— ჩვენ ბევრს რასმეს მოველით მოსკოველებთან შეხვედრისაგან. იგი უეჭველად ხელს შეუწყობს მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ქართველი ხალხის მუსიკალური კულტურის შემდგომ განვითარებას.—ამ სიტყვებით ამთავრებს „იზვესტიას“ თანამშრომელთან საუბარს ამხ. ო. ევაძე.

„იზვესტიას“ თვრამეტი მაისის ნომერში მოთავსებულია გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „სამშობლო“, ა. მაშაშვილის — „ყაზბეგი“, სიმონ ჩიქოვანის „ქართველი დედა“, ი. მოსაშვილის „ჩვენს ბაღში“. ვ. გაბესკირიას — „გმირი“, რიჟდენ გვეტაძის „გმირულად დაღუპულ შალამბერიძეს“.

გაზეთ „მოსკოვსკი ბოლშევიკი“-ს 20 მაისის ნომერში გამოქვეყნებულია ბესო ჟღენტის სტატია „მზიური საქართველოს მგოსნები“ და გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, იოსებ გრიშაშვილის ლექსები.

გაზეთ „ვეჩერნაია მოსკვაში“ გამოქვეყნებულია პ. ხუჭუას სტატია „საქართველოს მუსიკალური კულტურა სამამულო ომის დღეებში“.

ჟურნალ „ოქტიაბრის“ ახლახან გამოსულ მორიგ ნომერში მთლიანად დაბეჭდილია გრიგოლ აბაშიძის პოემა „ძლევის ქედი“, რომელიც პოეტ დერჟავინის მიერ არის თარგმნილი.

ქართული ლიტერატურის საღამოები

ქართული ლიტერატურის მორიგი საღამო შესდგა 19 მაისს წითელ არმიის ცენტრალურ სახლში. საღამო დაიწყო მწერალ პ. პავლენკოს შესავალი სიტყვით.

მოხსენებით „ქართველი საბჭოთა მწერლების შემოქმედების შესახებ სამამულო ომის დღეებში“—გამოვიდა ირაკლი აბაშიძე.

ლექსები წაიკითხეს პოეტებმა ა. მაშაშვილმა, კ. კალაძემ, ი. მოსაშვილმა. გრ. აბაშიძემ, კ. ჭიჭინაძემ. ქართველი პოეტების ლექსების საკუთარი თარგმანები წაიკითხეს პოეტებმა ლ. პენკოვსკიმ, კოჩეტკოვმა, ე. ერანიაშვილმა, ვ. ზვიაგინცევამ, ვ. დერჟავინმა, აგრეთვე დამსახურებულმა არტისტებმა მ. ცარევმა, ს. ბალაშოვმა და ს. კოჩარიანმა.

საღამოს საკონცერტო განყოფილებაში ქართველი პოეტების ლექსები წაიკითხეს საქართველოს სახალხო არტისტებმა თამარ ჭავჭავაძემ და ვ. ანჯაფარიძემ. დიდი წარმატებით შეასრულეს ქართველ კომპოზიტორთა რომანსები და არიები ოპერებიდან თბილისის საოპერო თეატრის სოლისტებმა გ. გოგიჩაძემ და ლ. გოცირიძემ.

ქართული ლიტერატურის საღამო გაიმართა წითელი არმიის პოლიტსამმართველოს ნ კურსებზე. საღამო გახსნა ამხ. სკოსირევმა. კურსების ხელმძღვანელნი და მსწავლელნი დიდი ყურადღებით უსმენდნენ ქართველ პოეტებს და მათ ნაწარმოებთა მთარგმნელებს. საღამოზე შეკრებილნი გაეცნენ ა. აბაშელის, შ. აფხაიძის, ხ. ვარდოშვილის, ვ. გაბესკირიას. რ. გვეტაძის, გ. ლეონიძის, ა. მაშაშვილის, ი. მოსაშვილის, მარიჯანის, ს. ჩიქოვანის, კ. ჭიჭინაძის ნაწარმოებთ.

დასასრულ გაიმართა კონცერტი, რომელზედაც გამოვიდნენ თბილისის ოპერის სოლისტები პ. ამირანაშვილი, გ. გოგიჩაძე და სხვები.

20 მაისს მოსკოვის მსახიობის სახლში შესდგა ქართველი მწერლების. მსახიობების და მუსიკალური მოღვაწეების შეხვედრა დედაქალაქის ლიტერატურისა და მწერლობის ოსტატებთან.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხდნენ მწერლები ნ. ტიხონოვი, კ. ტრენიოვი, ვ. ვიშნევსკი, ლ. ლეონოვი და ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლები.

საღამო გახსნა დრამატურგმა კ. ტრენიოვმა. მოხსენება „ქართველი მწერლების შემოქმედების შესახებ სამამულო ომის დღეებში“—წაიკითხა მწერალმა აკადემიკოსმა კ. გამსახურდიამ. მოსკოვის მსახიობებით გაჭედილი დარბაზი მხურვალედ მიესალმა საღამოზე თავიანთი ლექსების კითხვით გამოსულ პოეტებს—გ. ტაბიძეს, ი. გრიშაშვილს. კ. კალაძეს. მარიჯანს. ქართველი პოეტების ლექსების რუსული თარგმანები წაიკითხეს ვ. დერჟავინმა, ს. შერვინსკიმ. ს. სპასკიმ, ე. ანანიაშვილმა. საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ვ. კაჩალოვმა, რუსეთის დამსახურებულმა მსახიობმა ს. ბალაშოვმა, საქართველოს სახალხო არტისტებმა თ. ჭავჭავაძემ ვ. ანჯაფარიძემ, ე. სოხაძემ. ნ. ცომაიამ, მომღერალმა ბ. კრაველიშვილმა და პიანისტმა ქალმა გ. მაჭუტაძემ.

ქართული მუსიკის კონცერტები

17 მაისს მოსკოვში დაიწყო ქართული მუსიკის საღამოები.

პირველი კონცერტი გაიმართა ჩაიკოვსკის სახელობის დარბაზში.

პირველ განყოფილებაში შესრულებულ იქნა შალვა მშველიძის სიმფონიური პოემა „ზვიადაური“, რომელიც დაწერილია ვაჟა ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის“ თემაზე.

მეორე განყოფილებაში შესრულებული იქნა არიები ზ. ფალიაშვილის, ა. ბალანჩივაძის, დ. არაყიშვილის ოპერებიდან. ო. ბარამიშვილის „ქარიშხალის სიმღერა“ (მ. გორკის მიხედვით) და ლეკური ზ. ფალიაშვილის „დაისიდან“.

კონცერტში მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის შ. აზმაიფარაშვილის დირიჟორობით, საქართველოს სახალხო არტისტებმა ეკატერინე სოხაძემ, პეტრე ამირანაშვილმა, დავით ბადრიძემ, დავით გამრეკელმა. რუსეთისა და საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა ვ. დავიდოვამ.

* * *

19 მაისს ჩაიკოვსკის სახელობის ამავე საკონცერტო დარბაზში შესდგა ქართული მუსიკის მეორე კონცერტი. კონცერტი გაიხსნა საქართველოს ფილარმონიის სიმებიანი კვარტეტის გამოსვლით. კვარტეტის შემადგენლობაში შედიოდნენ: შიუკაშვილი, ბერიძე, იაშვილი, ბარნაბიშვილი, შესრულებულ იქნა კომპოზიტორ შ. თაქთაქიშვილის ნაწარმოებები.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა ე. სოხაძემ, დ. ანდღულაძემ, პ ამირანაშვილმა და ბადრიძემ, რომლებმაც შეასრულეს კომპოზიტორების: ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის, ან ბალანჩივაძის, კ. მეღვინეთ-უხუცესის, ვ. გოკიელის, ი. ტუსკიას, შ. თაქთაქიშვილის, შ. მშველიძის, ვ. მურადელის, მ. ბალანჩივაძის, ი. კარგარეთელის რომანსები, სიმღერები და. ნაწყვეტები ოპერებიდან.

დარბაზი მხურვალე ხანგრძლივი ტაშით შეხვდა ქართველ მომღერლებს. დ. ანდღულაძემ და პ. ამირანაშვილმა დიდი წარმატებით შეასრულეს დუეტი ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერიდან“.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ახალგაზრდა მომღერალმა ბათუ კრაველიშვილმა და გიორგი გოგიჩაძემ, მათ შეასრულეს არიები ზ. ფალიაშვილის. დ. არაყიშვილის, ტუსკიას და სხვა კომპოზიტორთა ოპერებიდან.

კონცერტს დაესწრნენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ხრაპჩენკო, კომპოზიტორები შაპორინი და ბელი, მწერალი ნ. ტიხონოვი, მოსკოვის ფილარმონიისა და სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლები. კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. მოსკოველმა კომპოზიტორებმა იგი შეაფასეს. როგორც ქართული მუსიკალური კულტურის აყვავების ახალი დამადასტურებელი ფაქტი.

* * *

20 მაისს საკავშირო რადიოკომიტეტის სტუდიიდან მოეწყო რადიოკონცერტის გადაცემა. მიკროფონთან გამოვიდნენ საქართველოს სახალხო არტისტები ე. სოხაძე, ნ. ცომაია, დ. გამრეკელი, დ. ბადრიძე, თბილისის ოპერის სოლისტი გ. გოგიჩაძე. რომლებმაც შეასრულეს ქართველი, რუსი და ევროპიელი კომპოზიტორების ნაწარმოებები საკავშირო რადიოკომიტეტის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. დირიჟორობდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შ. აზმაიფარაშვილი.



„ცხრა ძმა ხერხეულიძეები“. სურათი ელ. ახვლედიანისა.

ქართული ხელოვნების ძეგლები

(საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში)

ამ ახლო ხანში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შენობაში შესდგა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XVI სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ქართული ხელოვნების საკითხებისადმი. ყველა მოხსენება (გარდა ერთისა) წარმოდგენილი იყო აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მიერ (დირექტორი აკად. გიორგი ჩუბინაშვილი).

პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანამშრომლის ლეო რჩეულიშვილის მოხსენება: „ზურტაკეტის მხარის ხელოვნების ძეგლთა დახასიათების საკითხისათვის“. ზურტაკეტის მხარე, რომელიც ძველი ისტორიულ-გეოგრაფიული დაყოფის მიხედვით ქვემო-ქართლში შედიოდა (ახლა ბაშკიჩეთის რაიონშია), თავისი ძეგლების მხატვრული თვისებებით, გვიჩვენებს სიახლოვეს—ერთი მხრივ იმ რაიონებთან, რომლებიც მას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება (მაშავერის, დმანისისა და ბოლნისის ხეობები), მეორე მხრივ კი თრიალეთთან და, ნაწილობრივ, ჯავახეთთანაც, — განაცხადა მომხსენებელმა. ზურტაკეტში შემონახულ მხატვრულ-არქიტექტურულ ძეგლთა ქრონოლოგიური დიაპაზონი მოიცავს საქართველოს ისტორიის ძირითად პერიოდებს. ლოდოვანი ნაშთები მოწმობს, რომ აქ ძლიერი მეგალითური კულტურა არსებულა; სხვადასხვა ადგილას აღმოჩენილია ოთხწახნაგოვანი სტელები საინტერესო დეკორით; ადრინდელი ფეოდალური ხანა წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის საკულტო შენობებით (ცალნავიანი ტაძრები, ბაზილიკები); ცალკე ჯგუფად გამოიყოფა XI ს-ის პირველი ნახევრის ძეგლები, რომლებიც მეტწილად კლდეკარის ერისთავთა (ლიპარიტთა) მიერაა შექმნილი; დარჩენილია თამარის დროინდელი შენობებიც (ე. წ. „ლამაზი საყდარი“), რომლებიც თავისი ბრწყინვალე მორთულობით შუა-ქართლის მდიდარ-ოფიციალური ხუროთმოძღვრების ნიმუშებს უახლოვდება. ამავე ხანისა უნდა იყოს ფუნდუკებიც. დასასრულ, ამ რაიონში გვიანი ხანის (XVI-XVII ს. ს.). შენობებიც მოიპოვება (მათ შორის აღსანიშნავია ორსართულიანი სამრეკლოები).

ზურტაკეტის ხუროთმოძღვრული ძეგლები, რომლებიც გამოკვლეულ იქნა გასულ შემოდგომაზე ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციის მიერ, უთუოდ საყურადღებო და მნიშვნელოვანია. ეს ძეგლები, თუმცა კი ქართული ხუროთმოძღვრების ევოლუციის საერთო გზას მიჰყვება, მაგრამ ბევრ რამეში სპეციფიკურ ნიშნებსაც ატარებს.

იმავე სხდომაზე. შემდეგი მოხსენებით — „ქართულ ხელნაწერთა დეკორის სისტემის განვითარების საწყისი ეტაპები“—გამოვიდა უფრ. მეცნ. თანამშრომელი რენე შმერლინგი. მოხსენება შეეხებოდა IX-XI ს-თა ქართულ ხელნაწერებს. ძველის (IX ს-ის) მორთულ ხელნაწერებში, მომხსენებელის ცნობით, მხატვრულ მოტივებს მიეკუთვნება ეტრატის დამუშავება, მელნის ფერი, არეთა ფორმატი, ტექსტის განლაგება გვერდზე, წერის კალიგრაფიული თავისებურებანი, საზღდო ასოები და სხვ. IX-X ს-თა მიჯნაზე ჩნდება ორნამენტული დეკორი—კამარები, ბოლოსამკაულები. ამ დროინდელი სახარებები შეიცავს აგრეთვე [illegible] და მახარებელთა პორტრეტებს და ზოგჯერ სიუჟეტიანი კომპოზიციებიც გვხვდება. ამ ხელნაწერებში ხაზოვანი ნახატი ცოცხალი და ექსპრესიულია და თავისუფალია იმ პირობით ფორმათაგან, რომლებიც ხელნაწერთა მორთულობაში XI ს-ის დასაწყისში მუშავდება. X ს-ის დასასრულიდან დეკორში თავს იჩენს მორთულობის ცალკეულ ელემენტთა სტილიზაცია, რაც ბიზანტიური ნიმუშებისადმი მისწრაფების გაძლიერებას ემთხვევა. XI ს-ის ქართულ ხელნაწერებში რამდენიმე ცალკეული სკოლა გაირჩევა: ტაო-კლარჯეთისა, რომელიც ხელნაწერის მორთულობათა ნახატისა და დაფერვის ორიგინალობით ხასიათდება, და ათონის, კონსტანტინეპოლისა და შავი მთის სკოლები, რომლებიც ხელნაწერთა მორთულობის ხასიათით ბიზანტიურ ხელნაწერთა ნიმუშებს უახლოვდება.

აკად. გ. ჩუბინაშვილის მოხსენება (8 V)— „მებრძოლის მხატვრული სახე XI ს-ის ქართულ ოქრომჭედლობაში“ — მიძღვნილი იყო წმ. გიორგის სამი შესანიშნავი ხატისადმი (ჯუმათისა, ხიდისთავისა და ლენჯერისა). მომხსენებლის აზრით სამივე ეს ძეგლი, როგორც სტილისტიკური თვისებებით, ისე ტექნიკური ხერხებითა და ორნამენტული სახეებითაც—XI ს-ის პირველი ნახევრის ჭედურ ძეგლთა რიგში დგება. აკად. ჩუბინაშვილმა სტილისტიკურად განიხილა სამივე ხატი და დაასკვნა, რომ მებრძოლის მხატვრული სახის კონცეფცია მათში სხვადასხვაგვარია და რომ ქართველი ოსტატის მიერ მებრძოლის ფსიქოლოგიური გაგება ცოცხალი და მრავალფეროვანი იყო და არა ტრადიციული და ბიზანტიური ხელოვნებიდან ცნობილი ტრაფარეტის ტიპისა.

8 მაისს მეორე მოხსენება—„ჯვარიანი გეგმის ახალი ტიპი საქართველოს ტაძრებში“—წაიკითხა პროფ. აკად. ნიკ. სევეროვმა. მოხსენების თემა იყო ხობის ტაძარი (სამეგრელო), რომელიც გაზომილ და გამოკვლეულ იქნა ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ გასულ წელს. მომხსენებელმა წარმოადგინა გრაფიკული რეკონსტრუქცია ამ მრავალჯერ გადაკეთებული, ძეგლისა, რომელიც XIII ს-ით თარიღდება.

9 მაისის სხდომაზე პირველად გამოვიდა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, პროფ. კარპეზ დონდუა—„დამოკიდებული წინადადების განვითარების ისტორიიდან ძველ ქართულში“, ხოლო ორი უკანასკნელი მოხსენება მიეძღვნა თბილისის „მეტეხის“ ტაძარს.

ძეგლის ისტორიის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი ვახტანგ ბერიძე. მომხსენებელმა განაცხადა, რომ „მეტეხის“ ტაძრის პირველი ხსენება წყაროებში XII ს-ეს (თამარის ხანას) მიეკუთვნება, თუმცა, ტრადიციის თანახმად, შენობა ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასლის დროს უნდა იყოს აგებული. XIII ს-ში, მონღოლთა შემოსევის დროს, მეტეხის ძველი ტაძარი და სამეფო „პალატი“, რომელიც იქვე მდებარეობდა, მთლიანად განადგურდა დღევანდელი შენობა ეკლესიისა, ჟამთააღმწერლის ცნობით. დიმიტრი II-ს. („თავდადებულს“) აუგია (1278-1289 წლებში). ამ ისტორიულ ცნობას სავსებით ეთანხმება ძეგლის სტილისტიკური ანალიზიც. XVII საუკუნის ნახევრამდე ტაძარი მოქმედი იყო. ქართველი მეფეები მისთვის ზრუნავდნენ, სოფლებსა და გლეხებს სწირავდნენ მას. XVII ს-ის ნახევრიდან „მეტეხი“ მიტოვებულია, შაჰნავაზი თოფისწამლის საწყობად იყენებს მას, ერეკლე I-მა კი ეკლესიცა და ციხეც „მისცა სპარსთა“. „მეტეხის“ დახსნა უცხოელთ ხელიდან მხოლოდ 1748 წელს მოხერხდა, როცა ერეკლე II-მ ბრძოლით აიღო ციხე. ეს ამბავი—უცხოელ დამპყრობთა განდევნა „მეტეხიდან“—თვით ტაძრის კედელზეა ლექსად მოთხრობილი. თვითმპყრობელობამ დაანგრია „მეტეხის“ ძველი ციხე და მის ნაცვლად საპყრობილის კორპუსები აღმართა. და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მოისპო ეს საპყრობილე და „მეტეხის“ ტაძარი—ფრიად საინტერესო ნიმუში ძველი ქართული ხუროთმოძღვრებისა—კვლავ მისაწვდომი გახდა ფართო მასისათვის.

უკანასკნელი მოხსენება — „მეტეხის“ ხუროთმოძღვრული ფორმებისა და დეკორის სისტემის შესახებ—წაიკითხა რუსუდან მეფისაშვილმა.

მოხსენებებმა გაცხოველებული კამათი გამოიწვია. აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსებმა კ. კეკელიძემ, გ. ჩუბინაშვილმა, ნ. ბერძენიშვილმა, ა. შანიძემ, შ. ნუცუბიძემ. ვ. თოფურიამ, პროფესორებმა გ. წერეთელმა, გორდეევმა, კუფტინმა, მხატვრებმა მ. თოიძემ და დ. კაკაბაძემ. არქიტექტორებმა ნიკ. ჩუბინაშვილმა და მიხ. ჩხიკვაძემ.

საბოლოო სიტყვაში საზ. მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარემ, აკად. გ. ახვლედიანმა შეაჯამა სესიის მუშაობა და კმაყოფილებით აღნიშნა, რომ აკადემიის სესიები ფართო გამოხმაურებას ჰპოულობს ქართული მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკთა წრეებში.

მზადება ა. პ. ჩეხოვის გარდაცვალების 40 წლისთავისათვის

მიმდინარე წლის 15 ივლისს სრულდება 40 წელი დიდი რუსი მწერლის — ანტონ პავლეს-ძე ჩეხოვის გარდაცვალებიდან

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით შექმნილია კომიტეტი ამ ღირსშესანიშნავი წლისთავის ჩასატარებლად.

კომიტეტის შემადგენლობაში შედიან: ვ. პ. პოტიომკინი (თავმჯდომარე). ნ. ს. ტიხონოვი (თავმჯდომარის მოადგილე), ო. ლ. კნიპერ-ჩეხოვა, ი. გ. ბოლშაკოვი, ვ. ვ. ვერესაევი. ა. მ. გერასიმოვი, თ. ვ. გლადკოვი, რ. მ. გლიერი, ა. ფ. გორკინი, ა. მ. ეგოლინი. ი. ა. ზავადსკი, ვ. ი. კაჩალოვი, ლ. მ. ქიაჩელი, ვ. ვ. კომაროვი, იაკუბ კოლასი, ე. პ. კორჩაგინა-ალექსანდროვსკაია. მ. ვ. კუპრიანოვი, პ. ნ. კრილოვი, ლ. მ. ლეონოვი, ი. მ. მოსკვინი, ნ. ი. მიასკოვსკი, პ. ა. პავლენკო, ვ. მ. პეტროვი, დ. ა. პოლიკარპოვი, მ. მ. პრიშვინი, მ. ფ. რილსკი, ა. ს. სერაფიმოვიჩი, ს. ნ. სერგეევ-ცენსკი, ნ. ა. სოკოლოვი, ნ. დ. ტელეშევი, ა. ნ. ტოლსტოი, ე. დ. ტურჩანინოვა, ნ. პ. ხმელიოვი, მ. ბ. ხრაპჩენკო, ვ. ი. შიშკოვი, მ. ა. შოლოხოვი.

საიუბილეო კომიტეტი უკვე შეუდგა მუშაობას.

კომიტეტმა თავის პირველ სხდომაზე განიხილა ის ღონისძიებები, რომლებიც ა. პ. ჩეხოვის გარდაცვალების 40 წლისთავის აღსანიშნავად დაამუშავეს რუსეთის განსახკომმა. ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა, კინემატოგრაფიის კომიტეტმა, საბჭოთა მწერლების კავშირმა, მხატვრულ ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ და საბჭოთა კომპოზიტორების კავშირმა.

* * *

ივნისის დამდეგს გაიმართება პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის საჯარო სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნება მოხსენებები პროფ. კუბიკოვისა—„ჩეხოვის ენა“, პროფ. გოლუბკოვისა—„ჩეხოვი საბჭოთა სკოლაში“, პროფ. მარკოვისა—„ბავშვები ჩეხოვის ნაწარმოებებში“ და აკადემიკოს კაიროვისა—„ჩეხოვი და მასწავლებელი“.

* * *

ამავე თარიღის აღნიშვნასთან დაკავშირებით სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში მოეწყობა ჩეხოვის ხელნაწერთა ფონდის გამოფენა. ეს გამოფენა საფუძვლად დაედება ა. პ. ჩეხოვის მუზეუმს.

* * *

მხატვრულ ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა 15 ივლისისათვის გამოსცემს ჩეხოვის მოთხრობებისა და ნოველების ერთტომეულს და ათტომიანი კრებულის პირველ ტომს. ივლისსა და აგვისტოში დიდი ტირაჟით გამოიცემა ჩეხოვის მოთხრობების 4 წიგნი. დაიბეჭდება აგრეთვე სტატიების კრებული „ჩეხოვი და ლიტერატურა“. ამ კრებულში შევა გორკის, კოროლენკოს, კუპრინის მოგონებები ჩეხოვზე. გამოქვეყნდება ა. პ. ჩეხოვისა და ო. ლ. კნიპერ-ჩეხოვის მიწერ-მოწერის მესამე ტომი, ცალკე ბროშურად გამოვა მწერლის პოპულარული ბიოგრაფია.

* * *

ჩეხოვის წლისთავისათვის კინოეკრანზე გამოვა ჩეხოვის ნაწარმოებების მიხედვით გაკეთებული კინოფილმები. თბილისის სტუდია ამთავრებს ჩეხოვის „ქორწინების“ გადაღებას (რეჟისორი ი. ანენსკი), მოსკოვის სტუდია—„იუბილეს“ (რეჟისორი ვ. პეტროვი). მზადდება აგრეთვე ჩეხოვისადმი მიძღვნილი სპეციალური კინოჟურნალი. ამასთან კინოთეატრებში განახლებული იქნება წინათ გადაღებული ფილმების „დათვის“, „კაცი ფუტლიარში“ და „ქირურგიას“ ჩვენება.

* * *

მასიური ტირაჟით გამოცემული იქნება მხატვარ სეროვის მიერ შესრულებული პორტრეტი ჩეხოვისა.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 25 მაისს, ღამით გარდაიცვალა ქართული სიტყვის საუკეთესო ოსტატი, ცნობილი მწერალი

ნიკო მერაბის-ძე ლორთქიფანიძე

დავით შამათავა

ალექსანდრე აბაშელის ლირიკა*

ალექსანდრე აბაშელი ნათელი საგაზაფხულო ფერების და ღრმად ოპტიმისტური მსოფლშეგრძნობის პოეტია. ეს სიცოცხლის სიხარული მისი ლექსის კონკრეტულ და აზრიან სახეებს აძლევს თავისებურ ინტიმს, თავისებურ მომხიბვლელობას. ომამდელ ლექსებში, ისევე როგორც ახლა, პოეტი უმღეროდა ბედნიერ სამშობლოს, ხალხთა ძმობას, ახალგაზრდობას, სიყვარულს. ქვეყნის აყვავება მასში აღფრთოვანებულ გრძნობებს იწვევდა და ისიც უერთდებოდა ამ ბედნიერებას:

„ჩემო კალამო, ყოველ გარიჟრაჟს
შენ შეჰხაროდი დილის ჩიტივით.
უმღერდი მიწას, ელვას, ქარიშხალს.
და მთვლილი გაქვს ზეცა შვიდივე“.

მაგრამ ჰორიზონტზე ღრუბლები წამოიშალენ. ქვეყანას მუხანათურად დაესხა ვერაგი მტერი. პოეტი ამ დღეებში მიჰმართავდა თავის კალამს დაეთმო სხვა ყოველგვარი სიმღერა და კილო, გარდა ერთისა, გარდა ბრძოლის მქუხარე ხმებისა:

„კალამო, მხოლოდ შემუსვრა მტერთა!
გადაივიწყე სხვა ყველაფერი“.

და მართლაც სამამულო ომის პირველ დღეებიდან, როგორც კი მტრის ურდოები გამოემართენ ჩვენი ქვეყნის სიცოცხლისა და თავისუფლების წინააღმდეგ, ალ. აბაშელის პოეზია მგზნებარე საბრძოლო მოწოდებად, ახალი საგმირო საქმეებისთვის აგზნებულ ვაჟკაცურ ჰანგებად იქცა. ბოროტი მტრისადმი სიძულვილის წმიდა გრძნობით, ჩვენი დიადი სამართლიანი საქმის გამარჯვების ურყევი რწმენით გაიმსჭვალა პოეტის თვითეული ლექსი. ომის დაწყების მეორე დღეს პოეტმა გამოაქვეყნა ლექსი „ცამ დაიქუხა გუშინ“, რომელშიაც სწერდა:

„ჩვენს აყვავებულ მიწას
ვერვინ წაგვართმევს ძალით,
რადგან ქვეყანას იცავს
ძლევამოსილი ხმალი“.

1941 წლის 6 ნოემბერს საბჭოთა მთავრობის მეთაურმა და წითელი არმიის უმაღლესმა მთავარსარდალმა ამხანაგმა **სტალინმა** — ოქტომბრის რევოლუციის ოცდაოთხი წლისთავის წინადღეს წარმოსთქვა თავისი ისტორიული სიტყვა. საბჭოთა ხალხისადმი რწმენით, ფაშისტთა ურდოებზე უეჭველი გამარჯვების რწმენით გამსჭვალული ეს ხმა მთელმა ჩვენმა ქვეყანამ, მთელმა ფრონტმა გაიგონა კვლავ 7 ნოემბერს დილით წითელმოედნიდან. ბელადის სიტყვით აღფრთოვანებული პოეტი სწერდა მაშინ:

„სიტყვა კი არა—ბასრი ხმალია,
მტრის გულფიცარზე დაძგერებული.
სიტყვა კი არა—ცეცხლის ალია,
გამარჯვებისთვის ამღერებული“.

ეს ის დღეები იყო, როცა დედაქალაქი ძალას იკრებდა „ჩრდილში ვეფხვივით ჩასაფრებული“. მოსკოვის კარი რკინას იცვამდა. ბრძოლის კვამლიდან სამშობლოს ცაზე გამარჯვების დილამ გამოანათა. ეს იყო ხმა გამარჯვების წინამორბედი. „ცა, როგორც ღველფი ნაცარწაყრილი საგანთიადო შუქით ბრწყინავდა“:

„აქ კი აღლუმზე მეღერავ იარაღს
დიდი სარდალი გადასძახოდა,
რომ დედაქალაქს მტერი კი არა—
გამარჯვების დღე მოუახლოვდა“.

ალექსანდრე აბაშელი მთელი გულით უმღერის საბჭოთა ადამიანების თავდადებას, რომელნიც ღირსეულად სწირავენ საკუთარ სიცოცხლეს სამშობლოს საკეთილდღეოდ. ეს გმირები მარად უკვდავი სახელით იცოცხლებენ ყოველთვის.

როცა მტერმა დიდი ზარალის ფასად შესძლო ჩრდილოეთ კავკასიაში შემოჭრა, როცა ბრძოლა კავკასიონის მისადგომებზე გაჩაღდა, და უშუალო საფრთხე შეიქნა ამიერ-კავკასიის ხალხებისათვის, ეს ხალხები, სტალინური მეგობრობით შეკავშირებულნი, დიდი რუსი ხალხის მეთაურობით სალკლდესავით აღსდგნენ თავიანთი სამშობლოს დასაცავად. ამ განსაცდელის ჟამს უფრო დიდი ძალით, ვიდრე ოდესმე, იჩინა თავი ალ. აბაშელის პოეზიაში სამშობლოს სიყვარულმა. ამ დღეებში იგი იყო ნამდვილი გმირული ხმისა და მოწოდების პოეტი. ზარივით რეკდა ამ დროს მისი პოპულარული ლექსი „არ მოუშვა, დაჰკარი!“ პოეტი გმირებს მიმართავდა:

„ხედავ, მტერი რას სჩადის,
როგორ მოგვიახლოვდა?
შენს მიწაზეც დაეცა
ჩრდილი შავი ფრთებისა
შენი კერა აქ არი,
პაპაც აქვე სახლობდა,
დღეს შენა ხარ დარაჯი
ამ დალოცვილ მთებისა“.

და შემდეგ პოეტი განაგრძობდა:

„შენი მიწის ორთქლი და
კერის კვამლი აქა დგას,
შენი შვილის აკვანი,
შენი ფუძე აქ არი.
მტერი მოდის, კისერზე
რომ უღელი დაგადგას,
ვაჟკაცურად დაუხვდი,
არ მოუშვა, დაჰკარი!“

ეს სტრიქონები იწერებოდა 1942 წლის ნოემბრის დღეებში, როცა ჩვენს მთებზე შავი ღრუბლები ჩამოწვა. სწორედ იმ დაძაბულ, მრისხანე დღეებში კავკასიაში ჩამოვიდა დიდი **სტალინის** ერთგული მოწაფე, ქართველი ხალხის საყვარელი შვილი ამხანაგი **ლავრენტი ბერია**, რომლის ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ განხორციელებული იქნა კავკასიონის მისადგომებთან გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურების დიადი სტალინური გეგმა. პოეტი გრძნობდა, რომ ასრულდებოდა მგზნებარე **სერგეი მირონის-ძე კიროვის** სიტყვები: „უნდა ვთქვათ, რომ კავკასიის მთები არა მარტო სილამაზეს შეიცავენ, არამედ ამაყი კლდეების ეს წყება იქნება ის მძლავრი დაბრკოლება, რომელზეც დაიმსხვრევიან რეაქციის ყველა ძალები“. პოეტი სწერდა:

„მთათა ზღუდე მტკიცეა,
კარი არ გაიღება, —
დარაჯებად დამდგარან
მთები დაღესტანისა“.

ასეც მოხდა. ურღვევია ქართველი ხალხის მეგობრობა მოძმე ხალხებთან. კავკასიისთვის ბრძოლა წითელი არმიის სახელოვანი გამარჯვებით დამთავრდა. ამას მოჰყვა უმაგალითო გამარჯვება მტერზე სტალინგრადთან. ამ დღეებში აღფრთოვანებული პოეტი სწერდა:

„თითქოს დონი აზვირთდა,
თითქო ვოლგა ადიდდა,
თერგიც კლდეებს მიამსხვრევს
და მტერს მიერეკება.
დარტყმა კავკასიიდან,
დარტყმა სტალინგრადიდან,
ზეციდანაც თოვლ-ყინვა
მტერს ესობა ეკლებად“.

ალ. აბაშელმა დიდი სამამულო ომის დღეებში შექმნა რამდენიმე ციკლი ლექსებისა: „სამშობლოს ვარსკვლავი“, „გამარჯვების გზაზე“ და სხვა. პოეტი ომის გრიალით სავსე დღეებში, ცეცხლსა და კვამლში, როცა გულს გამხნევების ძალა სჭირდებოდა მუდამ ცაზე სამშობლოს ვარსკვლავის ბრწყინვალებას ხედავდა:

„სამშობლოს ვარსკვლავს მე ვხედავ ცაზე,
და ჩემს გულშიაც სხივი ინთება“.

პოეტი იხსენებს ქართველი ხალხის გმირ წინაპრებს:

„ისმის თორნიკეს ძახილი
და სააკაძის ხმაური,
ხმალს ლესავს, მძიმედ დახრილი,
ხევსური ხიმიკაური“.

სამამულო ომის პერიოდში კიდევ უფრო მჭიდრო და უგულითადესი შეიქმნა ჩვენი დიდი სამშობლოს მრავალერიან ხალხთა შორის მეგობრობა. ქართველი ხალხი, თავის მოძმე ერებთან ერთად, მედგარ მონაწილეობას იღებს დიად სამამულო ომში. მისი შვილები თავდადებით იცავენ საბჭოთა ქვეყნის თავისუფლებას, ღირსებას, დამოუკიდებლობას. რკინის ზრიალში, შერკინებაში, ხშირად მოისმის წკრიალი ქართველთა მარჯვედ მოქნეული ხმლებისა. მტერმა სასტიკად იგემა იგი ვრცელ და თვალშეუდგამ რუსეთისა და უკრაინის ველებზე, მოსკოვსა და ლენინგრადთან, სტალინგრადსა და დნეპრის სანაპიროებთან, დონბასსა და აზოვის პირად, კიევსა, თუ ბალჩისარაის შადრევნის წყლებთან. უკრაინულ და რუსულ მძლე შეძახილს ქართველებმაც შეუერთეს თავიანთი „ვაშა“. გერმანელ მაწანწალებს აჭამეს ცხელი რკინა და ტყვია. ეს ყოველივე სიამაყის გრძნობას ჰგვრის ქართველ პოეტს. ქართველი მეომარი მეხს სცემს ვერაგს და ავსულს და ამ ბრძოლებში მას მფარველობს მშობელი მიწის მადლი და ძალა. ყველგან მისი სამშობლოა ვრცელ საბჭოთა მიწა-წყალზე, სადაც ხალხი იცავს კერას და თავის ნამუსს, სადაც კი ბრძოლაა მტერთან. ამიტომ ომში მიმავალ ქართველ მხედარს ასე მიმართავს პოეტი:

„შენც იქ მიდიხარ, შენია ჯერი,
მოვალეობაც შენი დიდია,
გახსოვდეს; სადაც ცეცხლს ანთებს მტერი,
იქ საქართველოს კარი ჰკიდია“.

ასეთივე ხასიათისაა საინტერესო ლექსი „ქართველი მეომრის წერილი უკრაინელი ჯარისკაცისადმი“. ქართველ მეომარს სიამაყის გრძნობას ჰგვრის ის, რომ ქართველთა მიწის სადარაჯოზე მედგრად სდგას უკრაინელი. თავის მხრივ ქართველი მეომარი უკრაინელ ძმას აიმედებს, რომ ის კვლავაც წმიდად აასრულებს საყვარელ სამშობლოსადმი ნაკისრ მოვალეობას. თოვლსა და ყინვაში, როცა ყველაფერს გლეჯენ ქარები, ცეცხლის ლმუილში, დღითაც და ღამით ისინი დაუზოგავად ანადგურებენ მტერს. იბრძვიან, რათა სამარადჟამოთ თავისუფალი იყოს ის მიწა, სადაც შევჩენკოს და გურამიშვილის წმიდა საფლავებია. როცა ომი ჩადგება, ძმები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს ალამგაშლილნი. შეხვედრა იქნება ძმური, სიყვარულით აღსავსე:

„შემდეგ ერთმანეთს ალამგაშლილნი
ნემანის წყალთან შევხვდებით სადმე.
ცოცხლობდეს ჩვენი ძმური კავშირი
ამიერიდან უკუნისამდე“.

ალ. აბაშელის ახალ ლექსებში მოსჩანს არა მარტო თემატიური, არამედ პოეტური ხერხების გარდაქმნაც. პოეტის სიტყვა მოქნილია, ღრმა ემოციონალური, გმირული სულის მატარებელი, აღსავსე ოპტიმიზმით და გამარჯვების რწმენით. სამამულო ომის ვითარებამ სულ ახლებური, ჯანსაღი, გმირული საწყისები შექმნა პოეტის შემოქმედებაში, რომელიც დღითი-დღე კიდევ უფრო მტკიცდება და ღრმავდება.

ალ. აბაშელის ახალი ლექსებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ლენინის ქალაქს“, „სტალინგრადი“, „ჩემს კალამს“, „არ მოუშვა, დაჰკარი“, „ომში მიმავალ ქართველ მეომარს“, „ერთი ხე იდგა მაღლობზე“ და სხვ. პოეტმა უკანასკნელ ხანებში მეტი იდეური სიმტკიცე და მხატვრული სიძლიერე მისცა თავის ლექსებს. სინათლე და სისადავე შემატა ალ. აბაშელის პოეტურ მეტყველებას ხალხურ ზეპირ სიტყვიერებასთან სიახლოვემ. იგი ითვლებოდა წარსულში ცისლაჟვარდების მეტრფიალე ნაზ პოეტად. უკანასკნელ ხანებში, სამამულო ომის გმირულ დღეებში მტრის წინააღმდეგ შურისძიებით და მათ მიმართ მრისხანებით აღავსო ალ. აბაშელის პოეზია ყოველდღიურობამ, რამაც მის ლექსებს მისცა დიდი ემოციონალობა, სითბო და გამძლეობა.

ამ ისტორიულ დღეებში პოეტი თავის ხალხთან არის, მისი ლექსების ყოველი სტრიქონი დღეს მონაწილეა სამშობლოს ბედნიერებისათვის ბრძოლის, პოეტმა კარგად იცის, რომ

„მალე ამ მიწას მშვიდობის დილა
ცისფერ მტრედივით დააფრინდება“.

მანამ კი ვიდრე მტერი საბოლოოდ განადგურდებოდეს, საჭიროა ბრძოლა, როგორც იარაღით, ისე მხატვრული სიტყვით. სამამულო ომის პერიოდში ალ. აბაშელი დიდ შემოქმედებით აქტიურ მუშაობას ეწევა, რასაც ადასტურებს მისი ლექსების ახალი წიგნები: ამ წიგნებში იგი წარმოგვიდგება, როგორც მებრძოლი, გმირული ხმისა და მოწოდების პოეტი-პატრიოტი.

---

*) ალ. აბაშელის ახალი წიგნის გამო. „ლექსები“. „საბჭოთა მწერლის“ გამოცემა. 1944 წ.

გრიგოლ ჩხიკვაძე

ზაქარია ფალიაშვილი და ხალხურობის პრობლემა

გულახდილად უნდა იქნეს აღიარებული, რომ ქართველ მუსიკისმცოდნეებს ჯერ კიდევ არა აქვთ სათანადოთ შესწავლილი ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი, მეტად მდიდარი და ნაირსახოვანი სამუსიკო კულტურა. ქართული სამუსიკო მეცნიერება ფრიად ახალგაზრდაა, იგი მხოლოდ ეხლა იკიდებს ფეხს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში პროფ. დიმ. არაყიშვილის კვლევითი ხასიათის შრომებს. ეს დიდი მოამაგე ქართული სამუსიკო ხელოვნებისა სრულიად სამართლიანად პიონერად არის მიჩნეული ამ დარგში.

ქართული პროფესიული მუსიკის ღრმა მეცნიერულ შესწავლას მხოლოდ ახლა შეუდგნენ ქართველი მუსიკოლოგები და საყურადღებო და დამახასიათებელია ის, რომ მათი კალამი პირველად ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებას შეეხო; მათ სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის არეში პირველ რიგში ზ. ფალიაშვილის შემოქმედება შევიდა. ეს სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერია, რადგან ზ. ფალიაშვილმა პირველმა გაუკაფა გზა ქართულ მაღალ-მხატვრულ პროფესიულ მუსიკას, მან დაამყარა ტრადიცია ეროვნული სამუსიკო ლიტერატურისა, მან მკვიდრი ნიადაგი ჩაუყარა ქართულ ეროვნულ ოპერას.

ზ. ფალიაშვილის მრავალფეროვანი მუსიკალური შემოქმედების ერთ-ერთ დამახასიათებელ მხარეს წარმოადგენს ხალხურობა. იგი საფუძვლად უდევს მის უკვდავ ქმნილებებს, რომელთაც შეიწოვეს და შეისისხლხორცეს ყოველი საუკეთესო თვისება ქართული ხალხური მუსიკალურ-ენობრივი დიალექტისა.

ზ. ფალიაშვილი ნამდვილი ქართული სახალხო კომპოზიტორია. მის შემოქმედებას ღრმად აქვს გამჯდარი ფესვები ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში და ამაშია მისი ძლიერებაც, რაც ასე ხიბლავს და ატყვევებს მსმენელთა ფართო მასებს.

ქართული სამუსიკო კულტურის ისტორიაში ზ. ფალიაშვილის მნიშვნელობა ისევე დიდია, როგორც ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და ვაჟა-ფშაველასი ქართულ ლიტერატურის ისტორიაში. ფალიაშვილის მუსიკალური შემოქმედება ბევრი რამით ენათესავება ქართული ლექსისა და პროზის ამ დიდ ოსტატებს. ზ. ფალიაშვილი თავის შემოქმედებაში უსათუოდ მათი პრინციპების მიმდევარია. იგი მათსავით ღრმა მოაზროვნეა, დაკვირვებული მცოდნე ხალხის ფსიქოლოგიის, სულისკვეთების, მისი მუსიკალური ენის დამახასიათებელი ინტონაციებისა და კილო-კავებისა, რომელსაც მაღალი ოსტატობით იყენებს თავის ნაწარმოებებში. ამ საფუძველზე შეუქმნა კომპოზიტორმა თავის ქმნილებებს მომხიბვლავი გულითადობა, მღელვარე მელოდიკა და ფორმის დახვეწილობა. ამ გზით მიაღწია მან ხალხურობას და რეალიზმს.

წინამდებარე წერილის ამოცანაა გაარკვიოს რა კავშირშია ფალიაშვილი ქართულ ხალხურ სამუსიკო შემოქმედებასთან, როგორ გარდატეხას განიცდის ხალხური ნედლი მუსიკალური მასალა კომპოზიტორის შემოქმედებაში და როგორ დამოკიდებულებაშია იგი დასავლეთ ევროპულ მუსიკასთან. ამასთან ერთად გარკვეული უნდა იქნას რა შეიტანა მან ახალი სამუსიკო გამოსახულებათა საშუალებების სფეროში.

* * *

ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი და დავ. მაჩაბელი იყვნენ პირველი მერცხლები, რომელთაც წარსული საუკუნის 60-იან წლებში ქართველ ინტელიგენციას გაახსენეს წმინდა მოვალეობა—დაეცვა და გადაერჩინა შებღალვისაგან ის მდიდარი სამუსიკო მემკვიდრეობა, რომელიც ქართველმა ხალხმა უძველეს დროიდან შემოინახა, თაობიდან თაობაზე ზეპირი გადაცემით გამოატარა მრავალსაუკუნოვან ისტორიულ მანძილზე და, შეუნარჩუნა რა მას, თავისი განმასხვავებელი თვისებები და თვითმყოფობა, დაუტოვა ძვირფას განძათ მომავალ თაობას.

ისინი მოითხოვდნენ ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების შეკრება-ჩაწერას, შესწავლას და გავრცელებას.

მაგრამ მათმა მოწოდებამ ცოტა მოგვიანებით ჰპოვა გამოძახილი, რადგან მარტო სურვილი არ კმაროდა. ამ ამოცანის განხორციელება იმ პერიოდში არც ისეთი ადვილი საქმე იყო. ამისათვის საჭირო იყო შესაფერი მომზადება და სათანადო ცოდნით აღჭურვა, რომელიც იმ ვითარებაში შეუძლებელი შეიქმნა.

იმ დროის თბილისში საუცხოოდ იკიდებდა ფეხს და კიდევაც ბატონობდა ევროპული, განსაკუთრებით იტალიური მუსიკა, რომელიც დიდ ყურადღებას იპყრობდა და ადგილობრივი ფართო საზოგადოებრივი წრეების სიმპატიას იზიდავდა. ამ ფერხულში ებმებოდა ნაწილობრივ ქართველი ინტელიგენციაც და ნელ-ნელა ივიწყებდა ეროვნულ-სამუსიკო კულტურას, ხალხურ სიმღერებს, რომელიც მხოლოდ ნადიმებზე და საერთოდ ოჯახურ გარემოცვაში-ღა გაისმოდა.

მაგრამ მეორეს მხრივ ეროვნული თვითშეგნების გრძნობა, რაც ხანი გადიოდა მით უფრო ღვივდებოდა; ქართველი ახალგაზრდა თაობა თანდათან ვითარდებოდა, კულტურას იძენდა, უფრო ნათლად ერკვეოდა ეროვნულ საკითხებში და მეტის სიმწვავით გრძნობდა ჩიხში მოქცეული ქართული ხალხური სამუსიკო ხელოვნების გამოხსნის აუცილებლობას.

მხოლოდ 70-80-იან წლებში გახდა შესაძლებელი ჭეშმარიტად საშვილიშვილო საქმის განხორციელება. ამ დროს სამუსიკო სარბიელზე გამოდის მთელი პლეადა ქართველ მუსიკოს-მოღვაწეებისა—ხარ. სავანელი, მიხ. მაჭავარიანი, ლადო აღნიაშვილი, ფილ. ქორიძე, მელ. ბალანჩივაძე, ია კარგარეთელი, ძმები კარბელაშვილები, ანდ. ბენაშვილი, ზაქ. ჩხიკვაძე და სხვ., რომელთაც თავისი უანგარო და მეტად საქმიანი მუშაობით საფუძველი ჩაუყარეს ძველი ქართული სამუსიკო კულტურის აღორძინების საქმეს. მათი მოღვაწეობის ისტორიული მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ ხალხური სიმღერებისა და საგალობლების შეგროვება-ჩაწერის საშუალებით, გუნდების ჩამოყალიბებისა და კონცერტების მოწყობით მრავალი მიმდევარი გაიჩინეს და ამგვარად მკვიდრი ნიადაგი მოუპოვეს ქართულ მუსიკას, რომელიც მანამდე მივიწყების გზაზე იყო დამდგარი.

მათი მეშვეობით ქართული ხალხური სიმღერა თანდათან ამოტივტივდა და მოიპოვა თავისი მოქალაქეობრივი უფლება.

ესტრადიდან მოსმენილმა ქართულმა კონცერტებმა საზოგადოებაზე საუცხოვო შთაბეჭდილება დასტოვა და პრესაშიც დიდი გამოხმაურება ჰპოვა.

ასე გასინჯეთ, თვით დიდი ილიაც უაღრესად აღაფრთოვანა ქართული ხალხური სიმღერების პირველმა საღამომ და 1886 წლის ნოემბერში, „ივერიის“ ორ ნომერში ამ საკითხს მეთაური წერილები მიუძღვნა, სადაც აღწერდა ქართული მუსიკის ორიგინალურ ბუნებას, თავისთავადობას და მიუთითებდა ქართველი ხალხის ამ იშვიათი საუნჯის მეცნიერულად შესწავლის აუცილებლობაზე.

აი ასეთ წრეში და ასეთ გარემოცვაში მოხვდა 1888 წ. ქუთაისიდან თბილისში ჩამოსული, მთლად ახალგაზრდა, 16 წლის ჭაბუკი, თუმცა მუსიკაში საკმაოდ გაწაფული ზ. ფალიაშვილი.

პირველ ხანებში ის, თავის უფროს ძმა ივანესთან ერთად, მომღერლად მოეწყო ლადო აღნიაშვილის გუნდში.

ბუნებით ცქვიტი და გონებით მახვილი, ჯერ კიდევ ყრმა მუსიკოსი, აკვირდება და ითვისებს ერთის მხრივ მშობლიური ჰანგების თავისებურებას, მის მდიდარ ჰარმონია-პოლიფონიურ საფუძველს, საუკუნოებით ჩამონაკვთულ ქართულ მრავალხმიანობას, ხოლო მეორეს მხრივ პრაქტიკულად ეცნობა დასავლეთ ევროპის პროფესიულ მუსიკას, ევროპიელ კომპოზიტორების ოსტატობას, მათ პოლიფონიურ აზროვნებას, მელოდიკისა და ჰარმონიის გაშლა-განვითარების ტექნიკას; ყოველივე ამის შედეგად მომავალი კომპოზიტორი ღრმად დააფიქრა იმ გარემოებამ, რომ მეტად მდიდარ, მაგრამ ნედლ ქართულ ხალხურ სასიმღერო მასალას ჯერ დიდი ხელოვანის კალამი არ შეხებოდა, იმ დროს, როდესაც იგი იშვიათ შესაძლებლობას იძლეოდა მრავალი თვალსაჩინო მუსიკალური ნაწარმოებების შესაქმნელად.

მას ეს აზრი ღრმად ჩაესახა და მოსვენებას არ აძლევდა. იგი ნათლად ხედავდა, რომ ქართველ მუსიკოსთა პირველი თაობა, მისი უფროსი კოლეგები სამუსიკო განათლების მხრივ მეტად შემოფარგლულნი იყვნენ; ამიტომ დიდი მიზნების დასახვა და განხორციელება მათ შესაძლებლობას აღემატებოდა.

ამ პერიოდში მათი მოღვაწეობა ვიწრო ჩარჩოში იყო მოქცეული და ამოიწურებოდა მხოლოდ ხალხური სიმღერების და ისიც უსათუოდ მარტივი ნიმუშების ნოტებზე გადაღებით, რადგან რთული აღნაგობის ნიმუშების ჩაწერა მოითხოვდა სათანადო თეორიულ მომზადებას.

მართალია ამავე ხანაში დაიწყო უკვე ცდები, თუმცა ძალიან გაუბედავი და მორიდებული, სიმღერის დამუშავებისა და, ქართულ კილოებზე დაყრდნობით სარომანსო ჟანრის შექმნისა, მაგრამ შემოფარგლული მხატვრული ჰორიზონტის გამო, მათი შემოქმედება მეტად პრიმიტიული და მდარე ღირსების გამოდიოდა.

ამასთანავე, ერთის მხრივ იტალიური, ხოლო მეორეს მხრივ აღმოსავლური სამუსიკო კულტურის ზეგავლენით დაწერილ ნაწარმოებებში იჩქმალებოდა ქართული მელოსის კოლორიტი და ჰკარგავდა თავის ეროვნულ სახეს.

ამგვარად მათ მიერ განვლილი პრიმიტიული გზა ზ. ფალიაშვილს არ აკმაყოფილებდა. იგი, მოხიბლული ქართული მუსიკალური ფოლკლორის სიდიადით, ხედავდა მასში განვითარების დიდ შესაძლებლობებს და ესახებოდა თვალწინ ქართული მუსიკის ბრწყინვალე პერსპექტივა.

ეს აზრი მას თანდათან ღრმად უმკვიდრდებოდა გონებაში და უკარნახებდა, რაც არ უნდა დასჯდომოდა დაეწყო მუსიკის შესწავლა, ზიარებოდა მაღალ მუსიკალურ კულტურას, დაუფლებოდა ვოკალურ-ინსტრუმენტალური ხელოვნების საიდუმლოებას.

მაგრამ იმ დუხჭირ დროს არც ისე იოლი იყო გზის გაკაფვა, დასახული მიზნის მიღწევა.

მეტად ძნელი ხდებოდა შემოქმედების ახალი გზების მაძიებლისათვის ამ ატმოსფეროში მუშაობა. უნდობლობა, შური, გაუტანლობა, მატერიალური გაჭირვება და საშინელი გათიშულობა ეღობებოდა მას წინ და ხელ-ფეხს უბორკავდა.

ასე რომ მარტო ნიჭი, თუნდაც დიდი ტალანტი, არ იყო საკმარისი ამ მაღალი იდეების განსახორციელებლად. საჭირო იყო აგრეთვე დიდი ნებისყოფა და შრომისმოყვარეობა ამ დამაბრკოლებელ პირობათა დასაძლევად. და მან ეს შესძლო, რადგან მას ამოძრავებდა ქართული ეროვნული კულტურისადმი უაღრესი სიყვარული და ამასთანავე აღმოაჩნდა მას შრომისათვის იშვიათი გამძლე ხერხემალი, რომელსაც სიკვდილამდე არ უღალატნია.

მოსკოვის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ფალიაშვილი საქართველოში დაბრუნდა როგორც დასრულებული ხელოვანი.

* * *

ზაქარია ფალიაშვილის საკომპოზიციო მოღვაწეობა იწყება მე-19 და მე-20 საუკუნეთა მიჯნაზე. მისი პირველი შემოქმედებითი ნაბიჯების შესწავლასთან ერთად საყურადღებოა გავეცნოთ მის შეხედულებებს ხალხური მუსიკალური შემოქმედების დაცვა-შესწავლის მნიშვნელობის შესახებ.

1909 წელს ჟურ. „ფასკუნჯის“ პირველ ნომერში ზ. ფალიაშვილი სწერდა: „უპირველესი და მეტად რთული ამოცანა ის არის, თუ რა გზით და როგორ უნდა მოვახერხოთ, რომ იმ ქართველი საზოგადოების უმეტესობას, რომელსაც დღეს მივიწყებული აქვს თავისი საკუთარი, მამა-პაპისაგან შექმნილი და ჩვენთვის ნაანდერძევი გალობა-სიმღერების სიმშვენიერე და გამსჭვალული აქვს სმენა საზოგადო ევროპული მუსიკით, ინტერესი აღუძრათ და შევაყვაროთ ის, რასაც უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს მისთვის,—ეროვნულ-კულტურული განვითარების საქმე. ქართული სიმღერა-გალობის გავრცელებისა და მის გამშვენიერებას, ჩემის აზრით, ერთად-ერთი საშუალება აქვს—რაც შეიძლება მალ-მალე იმართებოდეს ქართული კონცერტები“.

1908 წელს ზაქარია ფალიაშვილმა იმოგზაურა კახეთში სიმღერების ჩაწერის მიზნით და დაბრუნების შემდეგ გაზეთ „ამირანში“ მოათავსა წერილი სათაურით: „მოგზაურობა კახეთში და ქართული სახალხო სიმღერების დღევანდელი მდგომარეობა“. ამ წერილში გამოთქმულია რამდენიმე მეტად საგულისხმო აზრი. მასში ავტორი ეხება ხალხური სიმღერების დამუშავების საკითხს და ამბობს: „როცა კომპოზიტორი იღებს შესამუშავებლად რომელიმე სახალხო სიმღერასა, იგი ცდილობს ჰანგის გარდა მტკიცედ დაიცვას ხალხური კილო: ამ პირობის შესასრულებლად კი ერთსა და ორ ხმიან სიმღერებს უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს კომპოზიტორისთვის, ვიდრე სამხმიანს, რადგან სამხმიანი ჰარმონია მუსიკაში უფრო ნორმალურია და მეტ მასალას აძლევს კომპოზიტორს, რომ შეუცდომლად შეასრულოს თავისი მოვალეობა—ხალხური კილო დაიცვას“.

ამავე წერილში ზაქარია ფალიაშვილი, აღტაცებული გურული მრავალხმიანი სიმღერების თავისებური აღნაგობით, ამბობს. „სხვათა შორის, მე ერთი გურული „ხელხვაჯი“ მაქვს ჩაწერილი, სადაც ერთ ადგილს იმისთანა მოხერხებულად არის შეზავებული ორი სულ სხვადასხვა ხასიათის თემა, რომ ნათლად თვალწინ დაგიდგებათ ბახის „ფუგის“ თემები, და ყოველ ევროპიელ მუსიკოსს აღტაცებაში მოიყვანს და დაარწმუნებს, რომ ქართველი ხალხი დახელოვნებული ყოფილა მუსიკალურ ხელოვნებაში, რომ ამისთანა რთული და მასთან ორიგინალური სიმღერები შეუქმნია“.

ზაქარია ფალიაშვილი ხალხურ მუსიკას არა მარტო პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით უდგება. მას მუსიკალური ფოლკლორის ღრმა თეორიული შესწავლაც მეტად მნიშვნელოვან ფაქტად მიაჩნდა. ის მიზანშეწონილად სთვლის მუსიკის თეორიის ძველი ტრადიციები შეიცვალოს ხალხური სიმღერების ანალიზის შედეგად გამოვლინებული თეორიული კანონებით, რაც მისი აზრით ახალი სიტყვა იქნება მსოფლიო სამუსიკო ხელოვნებაში. ამის შესახებ ფალიაშვილი იმავე სტატიაში სწერდა: „დღეს თუ ჩვენი მუსიკა ასე დაბეჩავებული და განუვითარებელია, ეს იმის ბრალია, რომ ჯერ ჩვენი სიმღერები არც შეკრებილია და არც შემუშავებული. ამას გარდა ევროპიელ მუსიკოსებს იგი ჯერჯერობით არ აინტერესებს, რადგან ყოველგვარი სახალხო სიმღერები, ნამეტნავად ქართული, ევროპულ თეორიის კანონებს ეწინააღმდეგება. მთელ დედამიწაზე კი მუსიკის დამყარებიდან ყოფილა და ეხლაც არსებობს ერთგვარი სწავლა მუსიკის თეორიის კანონებისა. ყველა მუსიკოსს, დიდს თუ პატარას, მუსიკა ამ თეორიის შეწყობით შეუსწავლია და ამ სკოლას არ ასცილებია. სმენაც შესისხლხორცებული აქვს მასზედ და, რასაკვირველია, რომ ამ კანონების წინააღმდეგი ჰარმონიული „კომბინაციის“ გაგონების დროს ყურები სცქვიტოს და შეცდომად ჩასთვალოს იგი. მე დარწმუნებული ვარ, ეს მუსიკოსები, რომ გაისჯებოდნენ, შეისწავლიდნენ ხალხურ სიმღერების თავისებურებას და მეცნიერულად გამოიკვლევდნენ მათ, შეიძლება შემდგარიყო მუსიკის თეორიის ახალი კანონები და სამუსიკო ხელოვნებასაც ახალი ხანა დასდგომოდა“.

ზ. ფალიაშვილი ეხება რა ევროპელი და რუსი კომპოზიტორების შემოქმედებითი გზებს—აღნიშნავს:

„ყურადღების ღირსია,—განსაკუთრებით ის, რომ ზემოაღნიშნულმა მოღვაწეებმა პირდაპირ დიდ სამუსიკო ნაწარმოების წერას კი არ მიჰყვეს ხელი, არამედ ჯერ სახალხო სიმღერების შეგროვება დაიწყეს, შემდეგ პატარ-პატარა მუსიკალური თხზულებები შექმნეს ერთ-ორი ხმისათვის და ზოგჯერ დიდ გუნდებისათვის. მერე ეს ხმები ორკესტრისთვის შეამუშავეს და როცა ამგვარ გამოცდილებით წერის ტექნიკა განავითარეს, მაშინ აღარც ოპერებისა და სიმფონიების შეთხზვა გაუჭირდათ. მუსიკის თეორიის შესწავლა სხვა საქმეა და სახალხო სიმღერების ჰარმონიზაცია—კიდევ სულ სხვა. კომპოზიტორი უსათუოდ უნდა მომზადებული იყოს თეორიულად, ზედმიწევნით უნდა ჰქონდეს შესწავლილი თეორიის საერთო კანონები, ხოლო პრაქტიკულად რაც უფრო მეტს ივარჯიშებს და ჩაუკვირდება თავის საკუთარ ანუ სხვა ხალხის სიმღერებს, მით უფრო ადვილად შეიგნებს ყოველგვარ მუსიკას და შეთხზვაც აღარ გაუჭირდება“.

„სხვათა შორის—განაგრძობს ფალიაშვილი,—ამ მიზანს მიაღწია ამას წინად გარდაცვალებულმა ნორვეგიის გამოჩენილმა დიდმა კომპოზიტორმა გრიგმა, რომელმაც მთელი თავისი ცოდნა და მოღვაწეობა თავისი ხალხის სიმღერების განვითარებას მოანდომა და ამით დიდი სახელი დაიმსახურა მსოფლიო მუსიკაში. მას მართლაც დიდი ღვაწლი მიუძღვის თავის ხალხის და მისი ხელოვნების წინაშე. გრიგამდის თითქოს არავინ არ იცოდა, რომ ნორვეგიელ ხალხს ასეთი უნარი ჰქონდა მუსიკაში და სიმღერებიც მოეპოვებოდა მას. დღეს ამ ერთმა კაცმა იმდენად შესძლო ამ სიმღერების განვითარება, რომ ვერც ერთ სიმფონიურ და ამისდაგვარ კონცერტს ვერ მოისმენთ, რომ ერთი რამ მაინც გრიგის თხზულებიდან არ იყოს პროგრამაში მოთავსებული“.

ამგვარად ზაქარია ფალიაშვილი დიდი მოწიწებით ეპყრობოდა ხალხის მუსიკალურ საგანძურს, იგი შემოქმედის შთაგონების დაუშრეტელ წყაროდ მიაჩნდა.

როგორც ზემოთ ვთქვით, ზ. ფალიაშვილმა ჯერ კიდევ ყრმობის წლებში მოასწრო ხალხურ-სასიმღერო ინტონაციების შეთვისება. ეს ხაზგასმით უნდა იქნას აღნიშნული, რადგან ამ გარემოებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა მის შემოქმედებაში, რომელიც აგებულია ქართული ხალხური მუსიკის ნაციონალურ თავისებურებაზე, მელოდიკის, მეტრო-რიტმიკის, სამწყობრო-ჰარმონიის ტიპიურ თვისებებზე.

საქართველოში დაბრუნებისთანავე ზ. ფალიაშვილი ხალხის სიღრმიდან წამოსულ მუსიკალურ ქმნილებათა შესწავლას იწყებს, მაგრამ არა კაბინეტური მუშაობით, არამედ ხალხში გასვლით და ექსპედიციების მოწყობით საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.

ზ. ფალიაშვილმა შემოიარა ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია და სვანეთი. ქართული მუსიკა მოისმინა საქართველოს ბუნების წიაღში, მთასა თუ ბარში. გლეხის ყოველდღიურ ცხოვრების სხვადასხვა პირობებში—შრომის პროცესში თუ ნადიმზე, მინდორსა თუ სახლში, ლხინსა თუ ჭირში. ადგილობრივ გაეცნო სიმღერათა თავისებურებას, შესრულების ოსტატობას, ხმების ხასიათს, მათ დამახასიათებელ ნიუანსებს, შემსრულებელთა მიერ სიმღერების გადმოცემის ხერხებს, დინამიურობის ელფერს. ზ. ფალიაშვილმა მხოლოდ ასეთი ღრმა დაკვირვებისა და დიდი გამოცდილების შეძენის შემდეგ მიჰყო ხელი შემოქმედებით მუშაობას.

ზ. ფალიაშვილის შემოქმედებითი მუშაობა იწყება ქართული საგუნდო ლიტერატურის შექმნით, რომელსაც ის ხალხური მრავალხმიანობის საფუძველზე დაყრდნობით ფართოდ შლის და მონუმენტალურ ფორმებში აყალიბებს.

ჩვენი გუნდური სიმღერები,—დაუშრეტელი წყარო ნამდვილი შემოქმედებითი შთაგონებისა,—მანამდე შეუსწავლელი, გამოუყენებელი და შეუცნობელი იყო. ფალიაშვილმა გამოამზეურა ეს უთვალავი სიმდიდრე ქართული მუსიკალური კულტურისა.

ამ თვალსაზრისით მის მიერ დამუშავებული საგუნდო სიმღერები: გურული „ალი ფაშა“, „ინდი-მინდი“, „დელი-დელა“, ქართლ-კახური „მრავალჟამიერ“, „ცანგალა“, სვანური „ვოი-დივო“ და სხვანი ქართული სამუსიკო ლიტერატურის თვალსაჩინო ნიმუშებს წარმოადგენენ. საგუნდო სიმღერების დამუშავებიდან მოყოლებული, ხალხური სიმღერა თანდათანობით განსაზღვრავს ზ. ფალიაშვილის ნაწარმოებთა სამუსიკო ქსოვილს და თვით ფაქტურას.

ამავე პერიოდში ზ. ფალიაშვილმა დასწერა ორი რომანსი „ახალ აღნაგო სულო“ და „ნანა“, რომელნიც აგებული არიან ქართული სოფლური და ქალაქური მუსიკალური ფოლკლორის დამახასიათებელ ნიმუშებზე და რომლებშიაც დაცულია სიღრმე და ორიგინალობა ხალხური ჰანგებისა. მათ საპატიო ადგილი უჭირავთ ქართულ სარომანსო ლიტერატურაში.

ხალხური შემოქმედების ღრმა შესწავლით, მუსიკალური ფოლკლორის ფრთხილი და დაკვირვებული გამოყენებით ზაქარია ფალიაშვილმა დიდი შემოქმედებითი გამოცდილება და საკომპოზიციო ტექნიკა შეიძინა, და ამის შემდეგ შესძლო ქართული ოპერის შექმნას შესდგომოდა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ვახტანგ მჭედლიშვილი

(20 წელი გარდაცვალებიდან)

ვახტანგ ლევანის-ძე მჭედლიშვილი დაიბადა ქ. ბათუმში. დაამთავრა ბათუმის გიმნაზია. იგი სიყრმიდანვე თეატრში მუშაობაზე ოცნებობდა. უმაღლესი განათლების მისაღებად გაემგზავრა მოსკოვს, სადაც ა. სუმბათაშვილი-იუჟინის რეკომენდაციით, მიღებულ იქნა მოსკოვის სამხატვრო თეატრში.

სიკვდილამდე (1924 წ. 19 მაისს) ვახტანგ მჭედლიშვილი განუწყვეტლივ მუშაობდა სამხატვრო თეატრში, როგორც რეჟისორი; 1915 წლიდან ის ითვლებოდა ამ თეატრის მეორე სტუდიის ხელმძღვანელად. ამას გარდა მან საკუთარი რეჟისორულ-პედაგოგიურ მუშაობის მეთოდის საფუძველზე დააარსა იმპროვიზაციის სტუდია.

როგორც ქვემოდ მოყვანილი დოკუმენტიდან სჩანს, მჭედლიშვილმა ჯერ კიდევ 1909 წელს განიზრახა საქართველოში გადმოეტანა სამხატვრო თეატრის სცენიური სკოლის პრინციპები. ამ მიზნით ხსენებულ თეატრთან უნდა დაარსებულიყო „ქართული წრე“ (სტუდია). იმხანად ეს პროექტი ვერ განხორციელდა, რადგან ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ ვერ შესძლო მჭედლიშვილისთვის საჭირო დახმარების აღმოჩენა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ვ. მჭედლიშვილმა კვლავ სცადა მოსკოვში ქართული თეატრალური სტუდიის მოწყობა. 1922 და 1923 წელს მან ჩამოიყვანა სავასტროლოდ თბილისში თავისი ხელმძღვანელობით არსებული სამხატვრო თეატრის მეორე სტუდია. ამასთანავე ერთად, საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით მან დააარსა მოსკოვის ქართული სტუდია. სტუდიამ მეცადინეობა დაიწყო 1923 წლის შემოდგომიდან. ვ. მჭედლიშვილის მოწაფეებად იყვნენ საქართველოდან მივლენილი თეატრის ახალგაზრდა მუშაკები. სტუდიაში პედაგოგებად მოიწვიეს სამხატვრო თეატრის მოღვაწენი. მჭედლიშვილს განზრახული ჰქონდა ოთხი წლის სტუდიური მუშაობის შედეგად მომზადებული სპექტაკლებით ჩამოსულიყო თბილისში, ახალი თეატრი შეექმნა და აქ თბილისში განეგრძო სასცენო მოღვაწეობა.

მჭედლიშვილის გარდაცვალების შემდეგ სტუდიის საერთო ხელმძღვანელობა იკისრა მოსკოვის სამხატვრო თეატრის ხელმძღვანელმა ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკომ, ხოლო სტუდიის გამგედ მოწვეული იყო შალვა დადიანი. სტუდიას ვ. მჭედლიშვილის სახელი ეწოდა.

ვ. მჭედლიშვილის სტუდიის ყოფილი მსმენელები არიან ამჟამად საქართველოში მომუშავე რეჟისორები და მსახიობები შ. ალსაბაძე, ნ. გოძიაშვილი, გ. სულიაშვილი, ა. ჟურული, გ. როსება, გ. ჯავაშვილი, მედეა ქორელი, ს. ციხისთავი, ა. მიქელაძე, თ. თვალიაშვილი და სხვ.

მოსკოვის სამხატვრო თეატრის [illegible] წლისთავზე გამოცემულ წიგნში ვახტანგ მჭედლიშვილის მოღვაწეობა ასეა დახასიათებული:

„მოსკოვის სამხატვრო თეატრის რეჟისორი, სცენის დიდი მცოდნე, მეორე სტუდიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მთავარი ხელმძღვანელი, ურყევი მიმდევარი კ. ს. სტანისლავსკის მოძღვრებისა, მზრუნველი მეგობარი თეატრალური ახალგაზრდობისა. მოსკოვისა და პროვინციის ბევრ ეხლანდელ მსახიობს დაეხმარა, ვახტანგ ლევანის-ძე რომ სწორ გზაზე დამდგარიყვნენ. წრფელი სურვილი დახმარებოდა მოწაფეებს—აი რა იყო მისი ხასიათის მთავარი თვისება. სიკვდილის წინ მან მოსკოვში დააარსა იმპროვიზაციის სტუდია და იგი ამჟამად მის სახელს ატარებს. მჭედლიშვილი გარდაიცვალა 40 წლისა; მან თავისი სიცოცხლის ნახევარი სამხატვრო თეატრში მუშაობას მოახმარა“.

ვახტანგ მჭედლიშვილის მოღვაწეობის მაგალითზე ირკვევა თუ რა დიდ როლს თამაშობდა ქართული თეატრის განვითარებაში მოსკოვის სამხატვრო თეატრი. ეს ფაქტი ხაზგასმით არის აღსანიშნავი, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სამხატვრო თეატრის მოწაფეები იყვნენ რეჟისორები: ვ. შალიკაშვილი, ა. წუწუნავა, ა. ფალავა, რომლებმაც ქართულ თეატრში გადმოიტანეს სამხატვრო თეატრის რეალისტური სცენიური განსახიერების პრინციპები.

ამით დასტურდება რუსული და ქართული თეატრების შემოქმედებითი კავშირის სიცხოველე, განსაკუთრებით კი საბჭოთა პერიოდში.

დაუვიწყარნი არიან თეატრის ისტორიისათვის ის მუშაკები, რომლებიც ხელს უწყობდნენ ამ კავშირის გამტკიცებას. მათ რიგებში საპატიო ადგილი უდავოდ ეჭირა ვახტანგ მჭედლიშვილს.

ქვემოდ ვაქვეყნებთ პატარა ცნობას, რომელიც მოთავსებული იყო გაზეთ „დროებაში“ (1909 წ. № 128) და რომელიც ცხადჰყოფს ვახტანგ მჭედლიშვილის თაოსნობას, აქტივობას ქართულ თეატრის განახლების საქმეში.

* * *

თეატრის საქმე: ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას მოსკოვის სამხატვრო თეატრის რეჟისორის თანაშემწემ ვახტანგ მჭედლიშვილმა და რეჟისორთა სკოლის მოსწავლემ ალექსანდრე წუწუნავამ განცხადებით მიმართეს, სადაც ჩამოთვლილია ყველა ის ხელის შემშლელი მიზეზი, რომელიც ქართულ თეატრს წინ ეღობება. ეს მიზეზებია—ხელოვნების საქმეში ჩამორჩენა და ინტელიგენტურ ძალების უქონლობა სცენის მუშაკთა შორის. მათი აზრით, საქმის გამოსაკეთებლად საჭიროა მოსკოვის სამხატვრო თეატრთან დაარსდეს „ქართული წრე“, სადაც თავს შეაფარებს და სწავლა-ცოდნას მიიღებს ყველა ის ქართველი, ვისაც სცენაზე მოღვაწეობა იზიდავს. ასეთ „წრის“ შექმნა, მათის აზრით, მით უფრო საჭიროა, რომ სამხატვრო თეატრში კერძო პირთ, როგორც ასეთებს, აღარ იღებენ. ისინი ამბობენ, რომ სამხატვრო თეატრთან „ქართული წრის“ დაარსებაში დახმარებას გაუწევენ ამავე თეატრის რეჟისორნი კ. სტანისლავსკი და ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო. ქართულ წრეში ასწავლიან სხვათა შორის შემდეგ საგნებს: ხმის შემუშავებას, ხმლით ვარჯიშობას, დიქციას, როლების შესწავლას, გრიმს, მიმიკას, ხელოვნების ისტორიას, ძველ და ახალ ქართულ ლიტერატურის ისტორიას, ხალხთა ისტორიას და სხვ. სკოლაში შესვლის უფლება ექნება ორივე სქესის ქართველ ახალგაზრდებს, რომელთაც სკოლაში მიღებამდე გამოსცდის მხატვრებისა, მემუსიკეთა, ლიტერატორთა და არტისტებისაგან შემდგარი საგანგებო კომისია. მოსალოდნელია, ამბობენ მომხსენებელნი, ბევრმა თავის ხარჯით შეიძინოს სწავლა, დანარჩენთ უნდა დახმარება აღმოეჩინოს. რაც შეეხება ამ საქმის მოწყობას, ეს არც ისე ძნელია: საჭირო იქნება ორი ოთახის ქირის გაღება, სადაც ესტრადა იქნება გამართული, მხოლოდ ვარჯიშობის და მუსიკის მასწავლებელთათვის ჯამაგირები და სხვა წვრილმანი ხარჯი, როგორიცაა პიანინოს ქირა, ოთახის გათბობა-განათება და სხვ. დიდი დახმარების გაწევას ჰპირდება „საზოგადოებას“ ამ საქმეში, როგორც გამოცდილი რეჟისორი, ვახ. მჭედლიშვილი. განცხადების განხილვას თვით განმცხადებლები დაესწრებიან და ხსენებულ საკითხის შესახებ გამგეობას მიაწვდიან დაწვრილებით ცნობებს.

დიმიტრი ჯანელიძე

თეატრის მხატვარი

(ირ. გამრეკელის გარდაცვალებიდან ერთი წლის თავის გამო)

მთავარი მხატვარი რუსთაველის სახელობის თეატრისა, მისი ერთ-ერთი ფუძემდებელი ირაკლი გამრეკელი მძაფრი თეატრალობის გრძნობით მადლმოსილი ოსტატი იყო. მის ყოველ მაკეტსა და ესკიზში იგრძნობოდა დიდი ხელოვნებისაკენ სწრაფვა. ის მუდამ ახალი ძიებით იყო შთაგონებული.

როდესაც ირაკლი გამრეკელი შემოქმედებითი ასპარეზზე გამოვიდა, იმ დროს რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი ბრწყინვალე ნიჭის აღმაფრენით ქმნიდა საბჭოთა თეატრის დიდ სპექტაკლებს. მარჯანიშვილმა ქართველ მხატვართა გამოფენაზე ირ. გამრეკელის სურათები ნახა თუ არა, მაშინვე მიხვდა ახალგაზრდა მხატვრის დიდ შესაძლებლობას და ის თეატრში სამუშაოდ მიიწვია.



ირ. გამრეკელი — ქანდაკება ე. ვაჩნაძისა.

ამ დროიდან ი. გამრეკელი გულმოდგინებით სწავლობდა სცენის მგზნებარე ოსტატთან. მარჯანიშვილმა 1924-25 წლის სეზონში ახალგაზრდა მხატვარი თავის თანაშემოქმედად აირჩია და მიანდო მას ჯერ ს. შანშიაშვილის „ლატავრას", ი. გედევანიშვილის „სინათლის" და შემდეგ „საქმის კაცის", ხოლო 1925-26 წ. სეზონში „ჰამლეტის" გაფორმება.

ირაკლი გამრეკელი, პირველ ხანებში, სანდრო შანშიაშვილის „ლატავრასა" და იოსებ გედევანიშვილის „სინათლის" გაფორმების დროს ცდილობდა ფერწერითი დეკორაციებისათვის მოცულობა მოეპოვებინა და ამ მიზნით დეკორაციებს ანაწევრებდა, მის ცალკეულ ნაწილებს თავისებურად ალაგებდა. სულ მალე მან ამ ხერხზე უარი სთქვა და მთლიანად კონსტრუქციულ დეკორაციებს მიმართა. სივრცითი მოცულობის მქონე დეკორაციებს ამ დროიდან ის უპირატესობას ანიჭებს. ირაკლი გამრეკელი მრავალი წლების მუშაობით გაიზარდა კონსტრუქტული სასცენო მხატვრობის შეუდარებელ ოსტატად. ამის შემდეგ ის თეატრში უფრო ინჟინერ-ხუროთმოძღვარი და მოქანდაკეა, ვიდრე ფერმწერალი. იგი გასაოცარი ტიპიურობით და განზოგადოების ძალით წარმოგვისახავს სცენაზე მთიელთა სოფლებსა და კოშკებს. სცენის პატარა ფართობზე ახერხებს სამრეწველო ქალაქის მძიმე ინდუსტრიის გამოსახულება დაატიოს და აქვე ჯავშნოსანი გემის ვეება კონსტრუქცია გვიჩვენოს.

1928-1929 წ. სეზონში ირაკლი გამრეკელი ახორციელებს „ანზორს" და „საქმის კაცს". „ანზორში" სივრცითი მოცულობის დეკორაცია ავსებს და იტევს სცენის მთელ ფართობს. სცენის სიმაღლე, სიღრმე და სიგანე მთიელთა სოფლის გამომხატველ კონსტრუქციას უჭირავს და მიუხედავად სცენის ასეთი გადატვირთვისა, მსახიობს მაინც რჩება მომგებიანი და მომარჯვებული მრავალი პატარ-პატარა ფართობი, ამ სპექტაკლში სოფლის ხედის საერთო წარმოსახვით მხატვარი აღწევს არაჩვეულებრივ ეფექტს. საინტერესო და უაღრესად თავისებური იყო „საქმის კაცის" გაფორმებაც. ამ ორი დადგმით გამრეკელი ცხადყოფდა, რომ ის მუდამ ძიებაში იყო და სპექტაკლის გაფორმების მონუმენტალურ ხასიათისათვის ლაკონიურობას ეძებდა. ამ ძიების დროს, იგი ზოგჯერ სცოდავდა სპექტაკლის სტილიურ მთლიანობის წინაშე, წინააღმდეგობაში ვარდებოდა, კონსტრუქციულ დადგმებში ნატურალისტურად გაფორმებული სურათები შეჰქონდა ან და უკიდურეს განზოგადოებას მიმართავდა და დეკორაციებიც მეტისმეტად პირობითი, მშრალი და გაუგებარი ხდებოდნენ. კარგი კი ის იყო, რომ ირაკლი გამრეკელი, როგორც ჭეშმარიტი შემოქმედი, მიღწეულით არ კმაყოფილდებოდა და მუდამ ძიებაში იყო, არც მარცხი აგდებდა სასოწარკვეთილებაში და არც წარმატება იყო მისთვის თავბრუდამხვევი.

მთელი თავისი არსებით, მთელი თავისი ცხოვრებით თეატრთან დაკავშირებული მხატვარი კარგად გრძნობდა, რომ მისი ოსტატობის მთავარი მიზანი და დანიშნულება მსახიობისათვის ხელის შეწყობა, აქტიორისათვის პიესით ნაკარნახევი გარემოს შექმნაა.

1936 წლის შემდეგ ირაკლი გამრეკელის გაფორმებით დაიდგა: სანდრო შანშიაშვილის „არსენა" და „გიორგი სააკაძე", შექსპირის „ოტელლო", შალვა დადიანის „გუშინდელნი" და „ნაპერწკლიდან", ნიკო შიუკაშვილის „სულელი", პოგოდინის „თოფიანი კაცი", კორნეიჩუკის „ბოგდან ხმელნიცკი", ალექსანდრე სუმბათაშვილის „ღალატი", გოლდონის კომედია „სამპატარძლო აფიშით" და სხვ. საოპერო თეატრში კი „აბესალომ და ეთერი", „პატარა კახი", „ლადო კეცხოველი" და სხვა.

მხატვრის ამ პერიოდის შემოქმედების დამახასიათებელია ფერწერული დეკორაციების კონსტრუქციულ დადგმულობასთან შეთანხმება. მაგრამ ძირითადში მაინც მხატვარი უპირატესობას სივრცითი მოცულობის დეკორაციებს აძლევდა, ბოლო ხანებში მან სრულიად გაინთავისუფლა თავი აბსტრაქტულ სიმშრალის გადმონაშთებისაგან და მტკიცედ დაადგა რეალისტური შემოქმედების გზას.

მხატვრის მაღალი გემოვნება, თეატრში ათეული წლების მუშაობით მოპოვებული გამოცდილებანი და ოსტატობა სრული ძალით გამოჩნდა სპექტაკლ „ოტელლოში". მხატვარი ღრმად ჩასწვდა შექსპირის ტრაგედიის სულს, მძლავრი ხასიათების სულიერ მღელვარებას, სპექტაკლის რეალისტურ განწყობას და სპექტაკლი გააფორმა ზე-აწეული ტონით, მაღალი პოეზიის შესაბამი პათოსით და აქტიორისათვის ხელის შემწყობი ლაკონიურობით.

ბოლო წლებში ისევე როგორც წინათ, ირაკლი გამრეკელი იყო სპექტაკლების თანაავტორი, თანარეჟისორი, ის ხშირად თავის ესკიზებით, თავის მაკეტებით რეჟისორს შთააგონებდა პიესის დეკორატიული გაფორმების გეგმას. ირაკლი გამრეკელის ესკიზების ხაზებსა და კომპოზიციაში, ფერადოვნებასა და ნახატებში უკვე ჩანს სპექტაკლის იდეა.

ირაკლი გამრეკელი რეჟისორთან და კოლექტივთან თანაშემოქმედებაში ინარჩუნებდა თავის საკუთარ სახეს. ნიჭიერ კოლექტივში დაუღალავ მუშაობით მოიპოვა მან საკუთარი ხმა, როგორც მაღალ ნიჭიერის თეატრალურ მხატვარს მას იწვევდნენ პიესების გასაფორმებლად მოსკოვის, ლენინგრადის და კიევის თეატრებში.

ირაკლი გამრეკელი ცდილობდა და კიდევაც აღწევდა იმას, რომ სასცენო ხელოვნება გასაგები ყოფილიყო მაყურებელთა ფართე მასებისათვის და თანაც შენარჩუნებული ყოფილიყო მაღალი ოსტატობა. მხატვარი [illegible] იყო ხელოვნება თეატრიდან ფართო მასაში, ქუჩაში გატანაში: ის აფორმებდა მასიურ დემონსტრაციებს, ოლიმპიადებს, და დღესასწაულებს. საგულისხმოა, რომ მარჯანიშვილთან ერთად მოწადინებული იყო მთაწმინდის კალთებზედ განეხორციელებინა გრანდიოზულ სახალხო სანახაობად მაიაკოვსკის „მისტერია ბუფ"-ი.

ქართული საბჭოთა სცენა არასოდეს არ დაივიწყებს თეატრალური მხატვრობის იშვიათ ოსტატს, რუსთაველის თეატრის ერთ-ერთ ფუძემდებელს და ქართული კულტურის გამოჩენილ მოღვაწეს ირაკლი გამრეკელს.

„საბჭოთა მუსიკა"

სახელმწიფო მუსიკალურმა გამომცემლობამ გამოაქვეყნა სტატიების კრებული საბჭოთა მუსიკაზე. გაზეთ „იზვესტიაში" ამ კრებულის შესახებ პროფ. ბ. ნ. ლიატოშინსკი სწერს: „ჩვენი ქვეყნის მუსიკალური აზრი ომის დღეებში დაძაბულად და ნაყოფიერად მუშაობს. ამ მუშაობის შედეგს წარმოადგენს რამდენიმე კაპიტალური გამოკვლევა და უამრავი წერილი, პერიოდულ გამოცემებში გაბნეული".

კრებული იწყება იგორ გლებოვის (აკად. ბ. ასაფიევის) იმ ნარკვევების ციკლით, რომლებიც ავტორმა ლენინგრადის გმირული დაცვის დღეებში დასწერა. ეს ნარკვევები აღბეჭდილი არიან იმ დაუვიწყარი დღეების პათოსით და წარმოადგენენ ნ. ასაფიევის მრავალწლიან ნააზრევს რუსულ მუსიკის განვითარების გზებსა და მის ნაციონალურ საწყისებზე. სწორედ იმ დღეებში განსაკუთრებული ძალით განმტკიცდა რწმენა მშობელი ხალხის უძლეველობაში, მის შემოქმედებით ძალებში, რომლებიც ესე საოცხოვლოდ გამომჟღავნდნენ ცხოვრებასა და ხელოვნებაში.

ა. გოზენპუდის სტატია „მუსიკალური კულტურა და ფაშიზმი" დაწერილია მძაფრი პუბლიცისტური ფორმით და შეიცავს უხვ ფაქტიურ მასალას ჰიტლერულ „ახალ წესრიგზე" ხელოვნებაში და ფაშისტ-ყაჩაღთა ვანდალობაზე.

ი. მარტინოვი წერილში „ქარიშხლისაგან შობილი" იძლევა შოსტაკოვიჩის „მეშვიდე სიმფონიის" მუსიკალურ დრამატურგიულ ანალიზს, ხსნის ამ სიმფონიის სახეთა იდეურ შინაარსს და კონცეპციას. დ. კობალევსკის ნარკვევში საფუძვლიანადაა განხილული მ. კოვალის ოპერა „ემელიან პუგაჩოვი" და ა. ხაჩატურიანის ბალეტი „გაიანე", რომელთაც გასულ წელს სტალინური პრემია მიენიჭათ.

ღრმა ინტერესს იწვევს ჩვენი მოკავშირეების მუსიკალური კულტურისადმი მიძღვნილი ორი ნარკვევი — გ. შნეერსონის „მუსიკალური ამერიკა" და ი. ბელზას — „შემოქმედებითი მიმართულებანი თანადროულ ინგლისურ მუსიკაში", რომლებიც მნიშვნელოვან წვლილს წარმოადგენენ ინგლის-ამერიკის მუსიკალურ საზოგადოებრიობასთან საბჭოთა მუსიკოსების დაახლოვების საქმეში.

რუსული ხალხური სიმღერა

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტი ამ ზაფხულზე აწყობს რუსული ხალხური სიმღერის შემსრულებლების — საგუნდო კოლექტივების, ვოკალური ანსამბლების და სოლისტების რესპუბლიკურ დათვალიერებას. დათვალიერებაში მონაწილეობას მიიღებენ 30-ზე მეტი გუნდი, ასობით ანსამბლი და ათასობით მომღერალი. პირველი ტური დაიწყება ადგილებზე 25 ივნისს და გასტანს 5 ივლისამდე.

„ოკუპანტის გადაჩეხვა კლდეზე". ციკლიდან „ბრძოლა კავკასიის დაცვისათვის". ქანდაკება სილ. კაკაბაძისა.

ლეო ესაკია

ნიკო ფიროსმანიშვილი

25 წელიწადზე მეტია ნიკო ფიროსმანიშვილის შემოქმედება საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ამ ოსტატის მხატვრული ძალის საიდუმლოება დღემდე აუხსნელია. მისი სურათები, ალბათ, არასოდეს არ დაჰკარგავენ ცხოველმყოფელი შემოქმედების ძალას.

მიუხედავად იმისა, რომ ნიკო ფიროსმანიშვილის შესახებ ბევრი რამ დაიწერა და ითქვა, მრავალი ლეგენდა და ზღაპარი შეთხზა, მისი ცხოვრება მაინც ისევ ბუნდოვანი დარჩა, ხოლო მისი შემოქმედება კვლავ ამხსნელს და კრიტიკოსს მოელის.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ნიკო ფიროსმანიშვილის შემოქმედების ქართული ხალხურობა.

ქართული ხალხური პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს, — ხალხური სიმღერების, ხალხური მუსიკის, — და დარბაზების ხუროთმოძღვრობის ზოგადი დამახასიათებელი ნიშნები: უშუალობა, ფორმის სისადავე, იმავე დროს შემოქმედებითი სიდიადე, — ყოველივე ეს დამახასიათებელია ნიკო ფიროსმანიშვილის შემოქმედებისათვისაც. ის საოცარი ცხოველმყოფელობით, უშუალობით, გულწრფელობით გამოხატავს მშობლიური ხალხის ყოფა-ცხოვრებას, მშობლიური ქვეყნის უსულო და სულიერი ბუნების ფერადოვნებას, ადამიანს, მის გრძნობას.

ფიროსმანიშვილი თავისი საოცარი ძალით, წერის თავისებური იერით, განსხვავებული და გამორჩეული ტექნიკით ხაზებით ქართველი ხალხის შემოქმედებისგან არის დავალებული.

ქართველი ხალხის მრავალათასწლოვანი კულტურის ტრადიციებმა, მისი კულტურული ცენტრების გადანაცვლებამ საქართველოს ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში (არქეოპოლისი, უფლისციხე, მცხეთა, ქუთაისი, თბილისი, ტაო-კლარჯეთი), მრავალ კულტურულ ხალხთან ცხოველმა შემოქმედებითმა ურთიერთობამ, მტრებთაგან გარემოცვის პირობებში მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების მთებში გახიზვნა-გატანამ, საუკუნოებით მოპოვებულის გადარჩენის, შენახვის და თაობიდან თაობისათვის გადმოცემის წესადათებმა ხალხში ფართოდ გაავრცელეს და დანერგეს ეროვნული კულტურა, ამ სიტყვის ფართო გაგებით. და ჩვენი აზრით, ამიტომ არის, რომ ხალხის წიაღში აღზრდილი ხელოვანის შემოქმედება დრო და დრო საოცარი ძალით და სიმაღლით წამოიტყორცნება ხოლმე ჩვენს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ ზოგჯერ თანამედროვე გაგებით სკოლაგაუვლელი ოსტატი ხელოვნების უმაღლეს მწვერვალებს აღწევს.

წარსულში საქართველოს პოლიტიკური ისტორია და მისი კულტურის განვითარება ყოველთვის აღმავლობით როდი მიიმართებოდა. განადგურების პირამდე მიყვანილ ქვეყანას კულტურას ზოგჯერ ხმა ჩაეხშობოდა, მაგრამ ხალხი თავის წიაღში ინახავდა ცხოველმყოფელ ძალას და ცოდნას. როგორც კი დიდბუნებოვანი ნიჭი გამოჩნდებოდა, ხალხის სულში ჩაუქრობელ ნაპერწკლად შენახულ კულტურის ძალას გააჩაღებდა და ახალ აღორძინებას დასაწყისს აძლევდა. ასეთი შემოქმედი ზოგჯერ ვერც კი აღწევდა ქართული კულტურის განვითარების მაგისტრალურ გზამდე, მაგრამ ის მაინც ხალხური შემოქმედების უკვდავების მანიშნებელი და ამა თუ იმ დარგში ქართული კლასიკის მასაზრდოებელი იყო.

ამ თვალსაზრისით ნიკო ფიროსმანიშვილის შემოქმედება სრულიად კანონზომიერ მოვლენად გვევლინება ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიაში.

ნიკო ფიროსმანიშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ნაციონალური ფორმის სიმახვილე. თქვენ შეაცქერით მის ნიამორებს, ირმებს და ლომებს, დათვებს, ოსტატობით შეკრულ ნატიურ მორტის კომპოზიციას, თავდაჭერილი გემოვნებით ამეტყველებულ ფერადოვნებას, მრავალფიგურებიან კომპოზიციას, სოფლის ცხოვრების ეპიური სისავსით გადმოშლილ სურათებს, და გრძნობთ, რომ ამის შემომქმედი ღვიძლი მემკვიდრეა იმ მხატვარისა, რომელიც საუკუნეთა გასაოცებლად ასურათებდა საშუალო საუკუნეების საქართველოს ტაძართა კედლებს. ცხადია, ბევრი რამ იმ ბრწყინვალე ოსტატობიდან ფიროსმანს დაკარგული აქვს, მაგრამ მას შეუნარჩუნებია ნახატის შინაგანი ძალა, წარმოსახვის სიმძაფრე, მონუმენტობის გრძნობა და ფერითი მეტყველების ლაკონიურობა, ფერითი მეტყველების პოეტური კონსტრუქტიულობა.

არცერთ სურათში არცერთ ნახატში ნიკო ფიროსმანიშვილი არ ღალატობს საკუთარ თავს, საკუთარ შეხედულებას და ამასთან უაღრეს პრინციპულობას და გულწრფელობას ამჟღავნებს.

ლუკმა პურის ძებნაში მოსალოდნელი იყო, რომ ის დათმობაზე წასულიყო და დაბალი გემოვნებისთვის დაემორჩილებინა თავისი ფუნჯი, მაგრამ მაშინაც კი, როდესაც მას ასანთის კოლოფზე გამოსახული ლომის კადახატვას თხოვდნენ, ის ამაში მხოლოდ თემას ხედავდა, საშუალებას საკუთარი გემოვნების გამართლებისათვის და ორიგინალური წარმოსახვის განსახორციელებლად.



„ორსენალის გორა ღამით".
სურათი ნ. ფიროსმანიშვილისა.

ცხადია, ის შეზღუდული იყო შეკვეთების თემატიკით, ის ჩიოდა კიდეც ამის შესახებ და ესწრაფვოდა თავისუფალ შემოქმედებას, ოცნებობდა მხატვართა კლუბზე, ჯანსაღ შემოქმედებით ატმოსფეროზე.

ნიკო ფიროსმანიშვილი საკუთარი გზის სისწორეში და სიმართლეში დაჯერებული მხატვარი იყო. ის იწუნებდა ბერიძის სურათებს და გამომწვევათ აცხადებდა, რომ მას უკეთესის დახატვა შეეძლო. ეს უკვე „აკადემიზმის" წინააღმდეგ ბრძოლის გამოცხადებას უდრიდა.

ამგვარად გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ნიკო ფიროსმანიშვილი სრულიად გარკვეული მიმართულების, პრინციპულობის მქონე მხატვარია, რომელიც მტკიცედ არის დარწმუნებული თავის ხელოვნების ძალასა და სიმართლეში და არავითარ უცხო გავლენას არ ემორჩილება. პირიქით, თვით კარნახობს თავის შემკვეთელთ საკუთარ გემოვნებას, ეპიურ სიმშვიდეს, კეთილშობილებას და ხალხურ სიბრძნეს, რაც მისი ნაციონალური სტილის განუყოფელ ნიშნეულობას შეადგენს. აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ ნიკო ფიროსმანიშვილი მხატვართა წრეში მოწვეული სრულებით არ გრძნობდა თავს უხერხულად და მხატვართა წრეში შესვლა თავისთვის სავსებით ღირსეულად მიაჩნია.

ნიკო ფიროსმანიშვილის მხატვრობა სამშობლო ქვეყნის სულიერი და უსულო ბუნების სიყვარულის პოეტური განცდით არის აღსავსე. მისი ცხოველები, ჰორიზონტს ზევით ამართულნი, ლამაზად და ამაყად დგანან და საოცრად მეტყველი თვალებით გამოიყურებიან. ისინი ადამიანურ გრძნობათა განცდით არიან გაკეთილშობილებულნი და ფიროსმანიშვილი ამ მხრივაც უთუოდ ეხმაურება „შვლის ნუკრის ნაამბობის" ავტორს.

თავის დროის ადამიანებს, შრომისაგან წელმოწყვეტილ მეკურტნე მუშებს, წყლის მზიდავ ქალებს და მშრომელ გლეხებს ის ქომაგად ევლინება და თავის ფუნჯით დიდებას უმღერის მათ ადამიანურ ღირსებას, მათ შრომას. ფიროსმანიშვილის სურათი „ბავშვიანი ქალი წყალზე მიდის" კლასიკური კომპოზიციაა, ღრმად მეტყველი რეალისტური სურათია, რომელშიაც გლეხის ქალის სულიერი განწყობილება ფართოდ არის გადაშლილი გარეგნული სისადავითა და პოეტური მეტყველების სიდიადით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიკო ფიროსმანიშვილის განმზოგადოებელი ძალა, ნიკო ფიროსმანიშვილი მიწვდომილია ხელოვნების აზრს და ღრმად დაჯერებულია, რომ მხატვრული შემოქმედება კერძოობითის ნატურალისტური ასახვა კი არ არის, არამედ ობიექტის განზოგადოებითი წარმოსახვაა. ის ამა თუ იმ პიროვნების, სულიერი თუ უსულო ბუნების კონკრეტულ სურათს კი არ ხატავდა ნატურიდან, არამედ გამოხატავდა თავის მეხსიერებაში შემონახულს, მახვილი თვალით დანახულს, დაკვირვების და ცოდნის ნაყოფს, საკუთარი გემოვნებით და შემოქმედებითი მეთოდით დამუშავებულს.

ნიკო ფიროსმანიშვილის ფორმის სისადავე და მისი მეტყველების სიდიადე უთუოდ მოგვაგონებს ძველ ქართულ კედლის მხატვრობას. ამ მოსაზრების გულმოდგინე ანალიზმა ბევრი რამ საგულისხმო უნდა მოგვცეს, არა მარტო ფიროსმანიშვილის შემოქმედების ასახსნელად, არამედ საერთოდ ქართული კულტურის საკითხების გასარკვევად.

ნახატის მხრივ ნიკო ფიროსმანიშვილი უაღრეს თავისუფლებას იჩენს. ის ზოგჯერ ადამიანის თვალს — მისი სულის სარკეს, — არ ხატავს, ისე უგულვებლად ტოვებს, რომ მნახველი გაოცებაში მოდის, მაგრამ მიუხედავად ამისა, მის პერსონაჟს სიცოცხლე და სული არ აკლია. იმავე დროს ბატკნის და ირმის თვალები ისე მეტყველად აქვს გამოხატული, რომ მნახველის მეხსიერებაში ეს ცხოველნი სამუდამოდ აღბეჭდილი რჩებიან.

სურათში ნიკო ფიროსმანიშვილს ნატურასთან ცალკეული დეტალების ზედმიწევნითი დამთხვევა კი არ აინტერესებს, არამედ შინაგანი განზოგადოებული არსის, განწყობილების გადმოცემა, სულიერ სამყაროს გადმოშლა.

კომპოზიციის მხრივაც მხატვარი ნატურალისტური ასახვის წინააღმდეგ გამოდის. ზოგჯერ ის პერსპექტივის კანონებს არღვევს, სურათს სურათის ფონზე ხატავს, სურათს სურათში სვამს და მიუხედავად ამისა, მაინც მშვიდი ეპიური მონათხრობის მომხიბვლელობას აღწევს.

მის ნაწარმოებს არ ატყვია თავაუღებელი შრომის, ძიების სიმწარე და მიგნების სიხარული. ის ყოველთვის ერთნაირად მშვიდია, მისი ნაწერი სადა მეტყველებით ადვილად ნათქვამ და გულში ჩამწვდომ სიმღერად გვესახება.

თემატიკაც მხატვრის მიმართულების შესაბამისად არის შერჩეული და ფერმწერალი თითქმის ერთნაირი სიუხვით იღებს მასალას ქალაქისა და სოფლის ცხოვრებიდან. ის უმთავრესად თავის თანადროულობის მხატვარია, მაგრამ არც ისტორიულ-პატრიოტულ თემებს ივიწყებს („სამშობლოს" სცენა, „სააკაძე" და სხვ.) თემის შერჩევაში ჩანს, რომ მხატვარი თავისი ქვეყნის უაღრესად მოყვარული შემომქმედია. მას იზიდავს ქართული ელფერის მქონე სუფრა, ტანსაცმელი, ადამიანის სახის იერი, წარმოსადეგობა, დგომის თუ ჯდომის მანერა, თავისებური ჟესტის წარმოსახვა.

მისი სურათი არასოდეს არ ყვირის არც ფერისა და არც ხაზის ექსპრესიით. მისი ტონი ყოველთვის უაღრესად მშვიდია. მისი კოლორიტი მუდამ ეროვნულია, — ქართული.

ნიკო ფიროსმანიშვილი ქართული გამძლე კულტურის მემკვიდრე შემომქმედია, მისი ყოველი სურათი ოპტიმისტური განწყობით არის ნაწერი. მისს სურათებში ვერ იპოვით უიმედობის და სასოწარკვეთილების განწყობილებას. ის ყოველთვის ინარჩუნებს სიმშვიდეს და ოპტიმიზმს.

ნიკო ფიროსმანიშვილის სურათები ქართულ მხატვრობას მიუთითებს შემოქმედების ხალხური სათავეების ცხოველმყოფელობაზე, ის ბევრ რამეს საგულისხმოს გვასწავლის ახალი ქართული მხატვრობის ნაციონალური ფორმის შემუშავებისათვის.

გიორგი ნატროშვილი

შავი მთა

დაცარიელებულ და მდუმარე შჩერბინკის გარეუბანში დავბინავდით. ათასი თვალი კვლავ გასცქეროდა ფერდობს გაღმა ზამელნიჩიეს ბორცვებზე მიმოფანტულ ქოხებს, სადაც გერმანელები იყვნენ გამაგრებულნი. არ ვიცი, რა სახელი დავუძახო იმ მაღლობებს, ტოპოგრაფიულ რუკაზე ისინი მხოლოდ ციფრებით იყვნენ აღნიშნულნი. ეს იყო და ეს. ისე კი ისინი მახათის მთის ოდენანი არ იქნებოდნენ, თუმცა უფრო მოზრდილნი იყვნენ, ვიდრე ფიქრის გორაა, როცა მას ვერის ბაღებიდან შემოჰხედავ.

სწორედ ასეთ მაღლობზე იყო სოფელი ზამელნიჩიე.

ეშმაკმა წაიღოს: მარჯვე პოზიცია არ იყო. მტერი ბორცვებზე იყო გამაგრებული და მისასვლელები ტრანშეებით იყო გადაღობილი.

ბრძოლის წინა დღე თავდებოდა, როცა თოვლმა ბარდნა დაიწყო. ამიტომ ახლა გაღმა სოფელი, ჰაერში მოფარფატე თოვლის ფანტელებს იქით, ისე ჩანდა, როგორც ფინჯანზე ჩამოფარებულ გამჭვირვალე მარმაშის ფარდაში. მკრთალად ირჩეოდა ხეებისა და სახლების მოხაზულობა, ვიდრე ღამის სიბნელე არ ჩამოგვეფარა თვალებზე.

დინჯად და ბარაქიანად თოვდა.

ახალი შებინდებული იყო, როცა ჯარისკაცებმა ვაზნები მიიღეს. გაავსეს თასმის სავაზნეები, პირამდე გასტენეს ავტომატის დისკოები, მერე შინელის, შარვლის და ზოგმა ხალათის ჯიბეებშიაც ჩაიყარეს ის თავყვითელა სიკვდილის კონფეტები. ყველაფერი მზად არის იერიშისათვის, ყველაფერი. მაშასადამე ახლა ჭამაზეც შეიძლება იფიქროს კაცმა: სადღაც უკან, ტყეში სავლე სამზარეულო იყო, რომელიც დღეს მარხილით მოათრიეს. საჭმლის მოლოდინში ვისაც სად მოუსწრია მუხლის ჩახრა — იქ შეჩერებულა. ერთნი საუბრობენ, მეორენი ფიქრებში წასულან, მესამენი პაპიროსს აწყობენ, რომ უხვი ვახშმის შემდეგ მადიანად მოსწიონ.

მალე საჭმელიც მოიტანეს. ჯარისკაცების ქვაბუნები აივსო მუხუდოსა და უგრეხელის კონცენტრატის ცხელი ფაფით, რომელშიაც მსუქანი ცხვრის ხორცი იყო ჩაზრილი. რაღაც ძალზე, ძალზე გემრიელი იყო ისიც და ის შავის პურიც იმ ღამეს, ბრძოლის წინ, თითქოს პურის უნახავნი ვყოფილიყავით და, მთელ სიცოცხლეში პირველად ვჭამდით მას ნეტარებით.

ომში კაცს საჭმელი საოცრად ამშვიდებს და აწყნარებს, ცაც რომ ჩამოქცევას აპირებდეს.

ღამე იყო და ისევ თოვდა.

გათენებამ მოაღწია, როცა ჩვენი ზარბაზნები და ნაღმსატყორცნები აგუგუნდნენ. საარტილერიო მომზადება იწყებოდა. არტილერისტები სადღაც ჩვენს უკან იდგნენ და ზამელნიჩიეს ესროდნენ. სტვენდნენ და გრუხუნებდნენ ყუმბარები მკრთალ რიჟრაჟში, რომელიც ის-ის იყო ეფინებოდა ქვეყანას. ნისლში შერეულ მკრთალ სინათლეს წამდაუწუმ ცეცხლის ზოლები სერავდნენ და ჰფათრავდნენ, და ყველასათვის ვინც ამ მოზანზარე ბუბუნს ისმენდა, ახლა უკვე განკარგულების გარეშეც ცხადი იყო, რომ როგორც კი დამთავრდებოდა საარტილერიო მომზადება, — იერიში უნდა დაწყებულიყო.

ერთი წუთის დაგვიანებაც არ შეიძლებოდა.

ის იყო გათენდა კიდეც და უცნაური სანახობა დაგვიდგა თვალწინ: ისევ ისე, როგორც გუშინ, თეთრი და ქალწულებრივი თოვლით დაფარული იყო ქვეყანა; მხოლოდ ერთი მაღლობი, ზამელნიჩიეს მაღლობი გაშავებულიყო. წყვდიადისფერი დასდებოდა სოფლის მიწას. არტილერისტებმა იმდენი ცეცხლი დააყარეს იმ ღამეს და იმ ცეცხლმა იმდენი მჭვარტლი დათოვა, ისე გადაბნა და გადააბრუნა მიწა, ისე გადათხარა და დაღადრა ის, რომ მთელ მიდამოს თალხი და ძაძა გადაჰფარებოდა.

ცნობილია, რომ ჯარისკაცი მახვილი სიტყვისათვის არასოდეს ჯიბეში ხელის ფათურს არ დაიწყებს. აქაც, არ ვიცი, როდის მოასწრეს და ასე უცრად მოუძებნეს იმ მაღლობს სახელი, ეხლა მას ზამელნიჩიეს აღარავინ ეძახდა, ეხლა მას ჩორნაია სოპკა ერქვა.

მირბოდნენ წინ ბიჭები, რაღაც ერთ ამოსუნთქვასავით, წუხანდელი ცეცხლივით ატყდებოდნენ მტერს თავზე. მათ ვეღარ აჩერებდათ გერმანული ტყვიამფრქვევების ცეცხლი, რომელთა ბუდეები იმ ღამეს აქა-იქ გადარჩენილიყვნენ. მოწინავე ხაზი ნაფოტებად და ნაცარტუტად რომ აქციოს არტილერიამ, ნაწილი საცეცხლო ბუდეებისა მტრის თავდაცვის სიღრმეში მაინც გადარჩება ხოლმე; მერე ქვეითმა მებრძოლებმა უნდა ჩააქრონ ისინი. ჰო და იმ ბუდეებიდან ახლაც გაფთრებულნი და გამწარებულნი ისროდნენ. მაინც ვერაფერი აჩერებდა მებრძოლებს, მირბოდნენ ისინი წინ, შავ მთაზე, ჩორნაია სოპკაზე. ისე სწრაფი იყო ის მოძრაობა, ამ ნაცნობ ბიჭებს ვეღარა სცნობდი — მათი თეთრი სანიღაბო ხალათები-ღა გედგა თვალწინ, ოდნავ, სულ ოდნავ, რომ ირჩეოდნენ თოვლისაგან, რადგან წუხანდელი სისველის გამო ტალახისფერი დასდებოდათ. უცებ ამოიზრდებიან თოვლიდან ეს ხალათები და ისევ ამ სითეთრეში დაიკარგებიან, ისევე სწრაფად, როგორც გამოჩნდნენ.

სახეებზე ვეღარ იცნობდი, ვეღარც ხმაზე: ამ გუგუნში ხმას ვინ გაიგონებდა, საკუთარი წამოძახილი არ გესმოდა და არც ის იცოდი—ჰყვირი, თუ ჩურჩულით ლაპარაკობ. ჩანდა მარტო რაღაც მიწის ძალასავით ძლიერი სიმხნევის, სიცოცხლის სუნთქვა, რაღაც რიტმი საერთო საიერიშო შთაგონებისა; სალდათის ცხოვრების ამ წუთების აღწერა ძნელია, მით უფრო ძნელია შტურმზე გადასული პოლკის სულის გადმოცემა ისევე, როგორც იმ ქარიშხლისა, აქ რომ დაიგრიალებს ხოლმე, ამ თოვლიან მინდორში, ხეებს გადაჰღუნავს, კაცს წააქცევს, სახლებს სახურავებს მოჰგლეჯს და გაიტაცებს.

ლაზარე მაინც ვიცანი. თავისი ქორისებური თვალები იმასაც წინ მიუპყრია. მობრუნდა, რაღაც დაიძახა. ახლა ის უკვე სერჟანტი იყო და ათეული მიჰყავდა შტურმზე. ეს ახოვანი, მუხასავით ჯმუხი კაცი მირბოდა წინ და ტყვია არა ჰხვდებოდა, თითქო უხორცოაო. ერთხანს კი შეჩერდა, თითქო ნახტომსა ზომავსო, და იმის ნაცვლად, რომ თოვლში ჩაწოლილიყო, კვლავ წინ გაექანა. აი გასცდნენ ცეცხლის ფარდასაც და, როცა მტრის მეტყვიამფრქვევეს წუთით ხელი მოეცარა, რომ ლენტი გამოეცვალა,—ამით ისარგებლა ქართველმა და ხელყუმბარით ის საცეცხლე წერტი მოსპო. მებრძოლები უკვე ქუჩაში შეიჭრნენ, სახლებში ჯერ ხელყუმბარები გადაყარეს, მერე თითონაც თან შეჰყვნენ. ის, რაც ჯერ ისევ ღამით მძიმე ქვემეხებმა დაიწყეს, ხიშტმა დაამთავრა.

მტრის გარნიზონი საბოლოოდ წელში გატეხილი იყო, — მტრის გადარჩენილი სალდათები შედრკნენ და გაიფანტნენ.

და ის იყო ამბავიც მოიტანეს, რომ სოფლის ბოლოს, ხრამში მტრის სალდათების ჯგუფი შეფარებულა და არ გვნებდებაო. ჩვენები ხრამს გარს ეხვივნენ, მაგრამ მტრისათვის ტყვია ვერ მიეწვდინათ.

— მე ვიცი ეგ ხრამი,—სთქვა ვასილიჩმა,— საკმაოდ ღრმაა და განიერიც არის...

ლაზარე ჩაფიქრდა და ცოტა ხნის შემდეგ წამოიძახა:

— არ გაგიგონია? ხმალსა სიმოკლე რას უშლის, ფეხი წინ წადგი, დასწვდებაო — და შემდეგ დაწვრილებით ვასილიჩს გამოჰკითხა იმ ხრამის სიგრძე-სიგანე, მანძილი იქამდე სასწრაფოდ გამოზომა და ტყვიამფრქვევი წინ კი არა, უკან დასწიეს და სროლა დაიწყეს.

ცოტა ხნის შემდეგ ფრიცები ხელებაწეულნი ამოძვრნენ ხრამიდან.

მართალი გითხრათ, გამიკვირდა: რა ჩქარა ისწავლა ამ ქართლელმა გლეხკაცმა, ტირიფონაზე გაზრდილმა ყანის მომკალმა და გუთნის დედამ ასე კარგად დისტანციის გაზომვა და უხილავი საგნების ამოთოფვა.

* * *

შუა სოფელში ქოხს ცეცხლი წაჰკიდებოდა, გაძლიერებულიყო ხანძარი, ალს ფანჯრებიდან გარედ გადმოეხეთქა, ტკაცუნით და შრიალით შემოჰხვეოდა ქოხის კედლებს. გერმანელებს იმ ქოხში ვაზნების სავსე ყუთები მიეტოვებინათ. ვაზნები მხურვალებისაგან ფეთქდებოდნენ და თუმცა ბრძოლა დამთავრებული იყო, სოფელში იმ ქოხიდან მაინც ისეთი ჯოჯოხეთური სროლა ისმოდა, იფიქრებდი შეტაკება სწორედ ახლა იწყებაო.

ასობით, ათასობით გასროლის ხმა შერწყმულიყო ხანძარში.

მაგრამ ზამელნიჩიეში აღარცერთი შეიარაღებული გერმანელი აღარ იყო. ერთნი გაიქცნენ, მეორენი ტყვედ ჩავარდნენ. დანარჩენები ქუჩაზე, ეზოებში, სოფლის გასადევარზე თოვლში პირქვე ეყარნენ. ზოგი უცებ გათავებულიყო, ზოგიც სულმობრძავი იყო და ხელების კრუნჩხვით სთხრიდა თოვლში აზელილ მიწას.

მებრძოლები ნელ-ნელა გროვდებოდნენ, მოვიდა ლაზარეც,—მთლად ოფლში გახვითქული. შინელი გაეხადა, ხელთათმანები ქამარში ჩაეჩარა. თავლის დირეზე ჩამოჯდა, შუბლიდან ოფლი მოიწურა და მახორკა სქლად გაახვია.

— ცხელა,—სთქვა მან,—ძალიან ჩამოცხა...—და მადიანად ღრმა ნაფაზით გაბოლა.

სიცხე კი არა, დეკემბრის ჭახჭახა ყინვის სუსხით იყო ჰაერი შეკრული.

— ჰაი დედასა,—დაიძახა ისევ ლაზარემ— ტირიფონაზე დღეში თორმეტი ათეული მომიმკია, ასე არ დავღლილვარ... კაცო, ეს რა დღე იყო, რა დღე... რა ვქნა, ეს კაცი რას ეძებს,—სთქვა ბოლოს ლაზარემ და თითით მიჩვენა ტიხონ ვასილიჩზე, რომელიც ქუჩის ბოლოს გამოჩნდა.

ვასილიჩი, მართლაც, რაღაცას თუ ვიღაცას ეძებდა... დადიოდა დაჭრილთა შორის, სახეში ჩაჰხედავდა, ჩაიქნევდა ხელს, გამობრუნდებოდა და ახლა მეორის სანახავად მიდიოდა.

— აქეთ წამოდი, ძმობილო,—დაუძახა ლაზარემ.

ტიხონი მოახლოვდა და თითქოს რაღაც მძიმე საფიქრებელი ხმამაღლა დაამთავრაო, წარმოსთქვა—არ არის აქ, არც ტყვეებში და არც დაჭრილებში არ არის!

— ვინ არ არის, კაცო ვის ეძებ...

— თუნდ ეგ მითქვამს და თუნდა ამ სოფლის ამბავი მიამბნია...

— ეგეც რომ სთქვა, ვითომ რაო?!—უპასუხა ლაზარემ. — აი წავიდეთ, აგერ იქით ჩამოვსხდეთ—და გასწია ცეცხლმოკიდებული სახლისაკენ (იმ დღის მთელ სოფელში ხანძრები ქათქათებდნენ)—როგორადაც მაყრიალებს, ოფლიანზე არ დაგვცადოს...

ქოხს ცეცხლი ეკიდა და ხუთმეტ მეტრზე ისეთი სიმხურვალე იყო, როგორც გახალებული ბუხრის წინ. მორზე ჩამოვსხედით და ხანძარს მივეფიცხენით.

* * *

— გახსოვს რომ გითხარით, აქაური ვარ-მეთქი? დაიწყო ტიხონ ვასილიჩმა,—აი ჩემი სოფელი ეს არის. ძალიან მდიდარი სოფელი იყო. ჯერ ამ თავლას შეჰხედეთ, რაჰხელაა! ცხენი გაჰენდება შიგ. ადრე რომ გენახათ, თავლა კი არა, ეკლესია გეგონებოდათ, ისე იყო დაკრიალებული აქაურობა. ისეთი წესრიგი იყო, როგორც სკოლაში. თბილოდა, სინათლეც იყო. გული გაგინათლდებოდა, შიგ როცა შეხვიდოდი. გუშინაც გეუბნებოდით, მე აქ უფროს მეჯინიბედ ვიყავი. წელს შემოდგომაზე მოადგნენ გერმანელები ამ რაიონს. ერთ დღეს უცბათ ამბავი მოიტანეს—გერმანელები უკვე ზნამენკაში არიანო. მერე ალექსანდროვკაში ენახათ... მეორე დღეს სროლის ხმაც გავიგონეთ, ეჭვი აღარ იყო მტერი ახლოვდებოდა.

იმ დღეს ახლო სოფლებიდან ხალხი შემოგვეხიზნა, პირუტყვიც გამორეკეს... ის იყო ის პირუტყვი უნდა გაგვერეკა აქედან, რომ ხმა მოვიდა მტერმა ზამელნიჩიე უკვე გადაჰკრა და გზა აღარსაით არიო.

აი ეს თავლა ისე იყო გაჭედილი ცხენებით, რომ ნემსი აღარ ჩაიგდებოდა. იმათში ჩემი დაზრდილები ერივნენ. და შვილებივით მეყვარდნენ ისინი. სიცოცხლეს არ დავზოგავდი იმათ გადასარჩენად.

— რაღა შვილი და რაღა საქონელი,— ჩაურთო სიტყვა ლაზარემ,—რათ გაიმეტებდი, როცა მთელი სიცოცხლე იმათზე გიზრუნია...

— მარტო მე კი არა, ჩემი მამა-პაპაც ამ საქმეზე იყო გადაგებული. ჩემი წინაპრები ვორონეჟიდან ყოფილან. მამაჩემი მეტყოდა ხოლმე, როცა იქ მეფე პეტრე ალექსეევიჩმა ჰოლანდიური კვიცები გამოგზავნა, შუკავკაში პირველმა ჩვენმა წინაპარმა დაზარდა ბიტიუგებიო; დაილოცოს იმისი ჯიში, რომელი მანქანა შეედრება იმასა, ორტონნაზევარს წაიღებს, არც ბენზინი უნდა და არც მოტორი, ოღონდ იონჯა ბლომად იყოს, არა და, ნამჯითაც იოლად წავა.

ჰო და, რას ვამბობდი? ჩავკეტე ეს სამასამდე ცხენი ამ თავლაში. ადრე ომამდე, მახსოვს ასევე ვიჯექი ხოლმე თავლაში, წამეთვლიმებოდა ხანდისხან და უცებ გამეღვიძებოდა ისევ,—აი როგორც დედა, შუაღამისას გუმანით რომ მიხვდება, პატარამ საბანი გადაიხადოო, მეც ისე წამოვდგებოდი, ცხენებს ქვეშ გაშლილ ნამჯას და ხავსს გაუსწორებდი; თუ ჩხუბობდნენ, დავაწყნარებდი, აწყვეტილს თავის სადგომზე დავაბრუნებდი. იმ ღამეს კი სადგომები ვის-ღა ახსოვდა? ხირხლები მილეწილი იყო, ერთის ადგილზე ორი და სამი იდგა, უარესად შეუთავდნენ. შევყურებდი და გული დარდით იხარშებოდა. ვფიქრობ, ახლა ეს ამდენი ცხენი რომ მტერს ჩავუყარო ხელში, მერე რაღად გინდა სიცოცხლე? სადღა უნდა გამოჰყო თავი? ცხენი კი არა, ცხელი ტყვიის მეტი არაფერი მემეტებოდა იმათთვის... ვფიქრობ ასე, ისე წამიღო ამ სადარდელმა, აღარც არ ვიცი, რა ხდება სოფელში, რა ამბავია, რას აპირობენ, ვფიქრობ და ვერაფერი ვერ მომიგონია.

ჩავიკეტე მეც თავლაში კარი და ისევ ვფიქრობ. საზამთროდ დაჯავშნული თივა და ქერი დავუყარე, თავლის ახლო იდგა ზვინები. ან კი რაღა დღისთვის შევინახავდი!

უკვე სოფლის ქუჩაზე ცვივოდნენ ნაღმები და ხან ისე ახლოს დაეცემოდნენ ხოლმე, რომ თავლის კედლები ზანზარებდნენ. შემოფრინდნენ დამფრთხალი ჩიტები თავლაში, ჟღიოდნენ, ცხენებში დაფრინავდნენ და ფართხალებდნენ. არ ვიცი, რათ დაუწყეს სროლა ამ თავლას. იქნება იმიტომ, მაღლობზე რომ არის აშენებული. თითქოს ავთარი დაეტაკაო, ისე გამობრდღვნა ნაღმმა კედელი, ნალეწმა ერთი კვიცი იქვე ჩაიჩოქა, სცადა წამოხტომა პატარამ, მაგრამ სიკვდილმა დაჯაბნა, დაეცა, ისე ეგდო,—ძუძუთა კვიცებმა რომ იციან მზეარეში დაძინება, იმათ ხომ ისე სძინავთ, თითქო მკვდრები არიანო. რამდენიმე დაიჭრა კიდევაც. რაღაც ისეთი საშინელი წივილი დაიწყეს, რომ იმის გაძლება ძნელი იყო. ადამიანი ხომ არ იყო, პირუტყვი იყო, უენო პირუტყვი, მაგრამ იმათ ცრემლსა და ვაებას ვეღარ ვუცქერე. კარები გავაღე და ცხენების გარედ გამორეკვა დავიწყე. თითქო გული არ მიუწევთო, თითქო ადამიანებივით გრძნობენ ხიფათსო, ნელ-ნელა, თითო-თითოდ გამოდიოდნენ. მერე პირველებმა რომ გაბედეს, დანარჩენებს ახლა თავლაში ყოფნისა შეეშინდათ, ყველა ერთად მიაწყდა კარებს; ახალგაზრდა ფაშატები ჯგუფად გამოქანდნენ, ეზოში მოისწრაფოდნენ და კარებში ათ-ათი იჭედებოდნენ და რომ ვიწროში უფრო ადვილად გამოსულიყვნენ, — ზურგზე გადაეწყოთ თავები ერთიმეორისათვის.

მეც გარედ გამოვედი. ძალზე უგემური, გაძალღებული შემოდგომა იყო. სველი ქარი ჰქროდა და რთვილსა სდებდა. დღისით კოკისპირული წვიმა მოდიოდა. გაღიღებდა და რაღაც მძიმე, სულისშემხუთველი ბურანი ჩამოწვებოდა ხოლმე. ქუჩაზე გუბეები იდგა, წვიმით გაჟღენთილი იყო ჩალის სახურავები, სველი იყო ფიცრული ღობეებიც, შეორთლილიყო ფანჯრებიც და მინებზე წყალი

(დასასრული მე-IV გვ.).

(„ლიტ. და ხელოვნ." გვ. მე-8)

ბ. ბუხნიკაშვილი

„მზის დაბნელება"

მუსიკალურ კომედიის თეატრში

8 მაისს მუსკომედიის თეატრმა მაყურებელს უჩვენა ზ. ანტონოვის კლასიკური კომედია „მზის დაბნელება", სამ მოქმედებიან ოპერეტად გადაკეთებული და დადგმული ბ. გამრეკელის მიერ.

ოპერეტისა და მუსიკალური კომედიის ჟანრი ჩვენში ჯერ კიდევ ძიებისა და ზრდის პროცესშია. ეს ძიება უმთავრესად იქით არის მიმართული, რომ მუსკომედიის თეატრი სცდილობს არ გაჰყვეს ოპერეტის ცნობილ შაბლონურ ფორმებს. თეატრი სცდილობს ოპერეტის ჟანრს მისცეს ქართული თეატრალური კულტურის ნაციონალური ელფერი. სწორედ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ თეატრის ამ მორიგ დადგმასაც.

რას წარმოადგენს გადაკეთებული „მზის დაბნელება"?

ძირითადში დატოვებულია ანტონოვის კარგად ცნობილი კომედიის სიუჟეტი მთელი სიტყვიერი მასალით და პერსონაჟებით (გარდა ზოგიერთი ეპიზოდური პერსონაჟისა), ამასთან ერთად მას დამატებული აქვს ახალი პერსონაჟები და ახალი სიუჟეტური ხაზიც. ეს არის გეურქას ოჯახში აღზრდილი გოგო ნუცა, რომელსაც უყვარს იმერელი მსახური სიმონიკა (სიმონიკა აქ უკვე მეზობელი ვაჭრის მსახურია). ახალი პერსონაჟია გეურქას ნოქარი ვანო, რომელსაც გეურქას ნებართვით ცოლად სურს შეირთოს ნუცა. საბოლოო ანგარიშში, მთავარ პერსონაჟების — მარეხისა და გრიგოლის შეუღლებასთან ერთად, ხდება ნუცას და სიმონიკას შეუღლებაც, და ნოქარი ვანო გარიყული დარჩება. ამ შეუღლებებს ხელს უწყობს მოხეტიალე ცირკის ხელმძღვანელი ბისტრო-სილი (სილიბისტრო), — ესეც ახალი პერსონაჟია. გააქტიურებულია გეურქას ცოლის ნინას სახე. მას სიმონიკა თავს ახვევს ყალბ რომანს ნოქარ ვანოსთან. დამატებულია ამის მიხედვით ახალი ტექსტი, მთელი რიგი სასიმღერო ლექსებით.

ასეა გართულებული ჩვენთვის კარგად ცნობილი „მზის დაბნელების" მარტივი და ნათელი სიუჟეტი. ამრიგად „მზის დაბნელება" ჩასმულია ოპერეტის ტრადიციულ „ურჟევ" ფორმებში, ოპერეტის ჩვეულებრივ სამსახიობო ამპლუათა მიხედვით. ჩვენ გვგონია, რომ ასეთი ოპერაციით მაინც და მაინც დიდად არ მოუგია „მზის დაბნელების" კლასიკურ სიუჟეტს.

შეიძლებოდა ხელუხლებლად დარჩენილიყო ძველი სიუჟეტი და მას მხოლოდ დამატებოდა ლირიკული და სახასიათო სასიმღერო ლექსები, ისიც არა ახლად გამოგონილი, არამედ აღებული ცნობილ პოეტთა ნაწარმოებებიდან. (ბესიკი, საიათნოვა, ალექსანდრე ჭავჭავაძე) და ქალაქურ ფოლკლორიდან. ამით უფრო დაცული იქნებოდა ანტონოვის „მზის დაბნელების" ეპოქის კოლორიტი, ძველი თბილისის ფერადოვნობა. ამასთანავე აცდენილი იქნებოდა ენობრივი მთლიანობის დარღვევა, რაც სამწუხაროდ ბევრგან ემჩნევა ნაწარმოებს ახალ ტექსტში.

მუსიკალური ილუსტრაცია კომპოზიტორ გ. ცაგარეიშვილს ეკუთვნის. მუსიკას ერთგვარი ეკლექტიურობა ემჩნევა. ის ნაკლებად შეიცავს თბილისის მდიდარ ქალაქურ მუსიკალურ ფოლკლორის ნიმუშებს. მუსიკა რომ ძირითადში ამ ფოლკლორზე ყოფილიყო აშენებული, ამით ოპერეტა უფრო მოიგებდა მთლიანობისა და ჰარმონიულობის თვალსაზრისით.

აქედან გამომდინარე, ოპერეტა „მზის დაბნელება" არ შეიძლება ჩავთვალოთ საგრძნობ მიღწევად ოპერეტის ნაციონალური ფორმების შექმნის საქმეში.

ჩვენს თვალწინაა ჩვეულებრივი ოპერეტა იმ განსხვავებით, რომ პერსონაჟებად გამოყვანილი არიან ჩვენი ნაცნობი სახეები. უნდა ვიფიქროთ, რომ მარტო ამით არ განისაზღვრება ქართული ოპერეტის გზების ძიება.

მაგრამ თუ ბორის გამრეკელს ნაკლი აღმოაჩნდა როგორც დრამატურგს, ეს მან გამოისყიდა, როგორც რეჟისორმა-დამდგმელმა. ზოგიერთი ადგილების გამოკლებით (პირველ და მესამე აქტის ბოლოში) მოცემული დრამატურგიული მასალა ცოცხლად, მკვეთრად და ხალისიანად არის განსახიერებული. იგრძნობა რეჟისორის მტკიცე ხელი, გემოვნება, სცენიური გამომგონებლობა.

როლების შესრულების მხრივ მთელი კოლექტივი სათანადო მხატვრულ დონეზე დგას. აქ ჩვენ ვხედავთ როგორც რეჟისორის ნაცად ხელს, ისე თვით მსახიობების გულმოდგინებას ოპერეტის პერსონაჟების სრულყოფილად განსახიერებაში.

დიდი ყურადღების ღირსია გეურქას როლის შემსრულებელი მსახიობი ზ. იოსეფაშვილი. მას პირველად ვხედავთ ხანში შესულის სახასიათო როლში და უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მისთვის უჩვეულო ამპლუა მსახიობმა საკმაო ნიჭიერებით აითვისა. სახე ცოცხალია და გაშარჟებას მოკლებული.

კარგია თ. მთვარაძის მარეხი. მას შეწყობილად უმშვენებს გვერდს დ. ესებუა ოფიცერ გრიგოლის როლში, მათი სასიამო ხმა, მოხდენილი მიმოქცევა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე.

მსახური სიმონიკას როლს ნ. მოსეშვილი ასრულებს. ეს როლი მსახიობს ბუნებრივი, ძალდაუტანებელი სითბოთი და იუმორით აქვს განსახიერებული.

ცოცხალ, ცქრიალა ნუცას სახეს ნიჭიერად ხატავს ნ. თულაშვილი.

კარგად აქვს დაძლეული ბისტროსილის როლი ი. ჩეჩელაშვილს. მას დაცული აქვს ზომიერება, რაც ფრიად საჭიროა ამ პერსონაჟის განსახიერებისას.

ასევე კარგია ნინოს სახასიათო კომიკურ როლში ე. ციმაკურიძე. კოლორიტულია კინტო — ა. მეწულიშვილი. საინტერესოა ი. ბაკაკური მიკირტუმას როლში.

ყურადღებას იპყრობს მსახიობი ტ. ტურიაშვილი. მისი სახით თეატრს ახალი ნიჭიერი ძალა შემატებია. მას სასიამოვნო ხმა აქვს, გაპედული პლასტიური მოძრაობა, ბუნებრივი იუმორი. ნოქარ ვანოს როლში მან ძალიან კარგად გამოგვცა, იმედგაცრუებული შეყვარებულის სახე.

დადგმამ მაყურებლის ინტერესი და მოწონება დაიმსახურა.

„კრეჩინსკის ქორწინება"

თბილისის გრიბოედოვის სახელობის თეატრში.

22 მაისს გრიბოედოვის სახელობის რუსულმა თეატრმა მაყურებელს უჩვენა სუხოვო-კობილინის ცნობილი კლასიკური კომედია „კრეჩინსკის ქორწინება", რომელიც ხშირად იდგმებოდა წინათ ქართული თეატრის სცენაზე. ეს კომედია არის პირველი ნაწილი ტრილოგიისა, რომელსაც ავტორმა „წარსულის სურათები" უწოდა. დანარჩენი ორი პიესა „საქმე" და „ტარელკინის სიკვდილი" სატირაა თვითმპყრობელურ-ბატონყმური რუსეთის ცხოვრებაზე. გრიბოედოვის თეატრში „კრეჩინსკის ქორწინება" დასდგა დამსახ. არტისტმა ა. სმირანინმა, გააფორმა მხატვარმა ბ. ლოტკაჩმა. კრეჩინსკის როლს ასრულებს ა. სმირანინი, მურომსკის—კ. მიუფკე, რასპლუევის—ბ. ვიაზემსკი.

კინო-ხელოვნება

„საღამოს ექვს საათზე ომს შემდეგ"

სცენარი ფილმისათვის „საღამოს ექვს საათზე ომს შემდეგ" განსვენებული პოეტის ვიქტორ გუსევის უკანასკნელი ნაწარმოებია. სურათს სდგამს რეჟისორი ი. პირიევი. ფილმში მოთხრობილი იქნება ამბავი ერთი მოსკოველი ქალიშვილისა, რომელიც ომის დაწყებამდე საბავშვო ბაღში გადიად მსახურობდა, მაგრამ როგორც კი ფაშისტი ყაჩაღები ვერაგულად ჩვენს მიწა-წყალზე შემოიჭრნენ, წითელ ჯარში წავიდა მოხალისედ, მრავალი ბრძოლა გადახადა და ლეიტენანტის ხარისხს მიაღწია.

„კაცი № 217"

კინოსურათი ამ სახელწოდებით მზადდება მოსკოვის კინოსტუდიაში, სდგამს მას ორდენოსანი რეჟისორი მ. რომმი (ე. გაბრილოვიჩის სცენარის მიხედვით). ფილმში ასახული იქნება ჰიტლერულ კატორღაში გარეკილი საბჭოთა ადამიანების თავგადასავალი, მათი ქედმოუხრელი ბრძოლა ფაშისტ ჯალათების, გერმანელი ჟანდარმებისა და პოლიციელების წინააღმდეგ.

„შემოსევა"

ამ უახლოეს ხანში ალმა-ატას კინოსტუდია დაამთავრებს ლ. ლეონოვის პიესის „შემოსევის" მიხედვით (ბ. ჩირსკოვის სცენარით) გაკეთებულ მხატვრული კინოფილმის გადაღებას. ამ კინოსურათში უფრო ვრცლად და ფართოდ დამუშავებულია ლ. ლეონოვის ზემოხსენებული პიესის თემა იმ რუსი ადამიანის გარდაქმნისა, რომელიც სამამულო ომის დაწყებამდე ვერ პოულობდა სამოქმედო სარბიელს ჩვენს სინამდვილეში და რომელმაც შემდეგ, სამშობლოს განსაცდელის ჟამს, თავი გამოიჩინა, როგორც მამულისათვის თავდადებულმა პატრიოტმა მხატვრული კინოსურათ „შემოსევა"-ს სდგამენ რეჟისორები რომმი და ჟაკოვი.

„განსაცდელი"

მწერალმა არკადი პერვენცევმა თავისი რომანის მიხედვით დასწერა კინოსცენარი ფილმისათვის, რომელსაც „განსაცდელი" ეწოდება. ფილმში ასახული იქნება სამამულო ომის პირველი დღეები, როცა წარმოუდგენელი ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების ევაკუაცია დასავლეთიდან აღმოსავლეთ რაიონებში. ფილმი იდგმება სვერდლოვსკის კინოსტუდიაში. მის დადგმაზე მუშაობს რეჟისორი ა. ივანოვი.

„დიდი მიწა"

ამჟამად მოსკოვის კინოსტუდიაში მიმდინარეობს დოკუმენტური მხატვრული კინოსურათის „დიდი მიწის" გადაღება. ამ ფილმის სცენარის ავტორი და დამდგმელი არის რეჟისორი ს. გერასიმოვი. ფილმში მოთხრობილი იქნება თავგადასავალი ერთი ქარხნისა, რომელიც სამამულო ომის დღეებში ურალის ერთ-ერთ ქალაქში იქნა გადატანილი და რომლის მუშათა კოლექტივმა თავისი გმირული შრომით ფასდაუდებელი სამსახური გაუწია სამშობლოს თავდაცვის საქმეს.

„არშინ მალ-ალან" ეკრანზე

ბაქოს კინოსტუდიის კინორეჟისორები რ. ტახმასიბი და ნ. ლესჩენკო ამ მოკლე ხანში შეუდგებიან ცნობილი მუსიკალური კომედიის „არშინ მალ-ალან"-ის ეკრანიზაციას, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ აზერბაიჯანის ცნობილი მომღერლები. რეჟისორ-დამდგმელები მიზნად ისახავენ აღმოსავლურ მრავალფეროვნებით ეკრანზე გადაიტანონ ამ პოპულარული მუსიკალური კომედიის მთავარი გმირის სასიყვარულო თავგადასავალი.

კიევის რუსეთის უძველესი ძეგლის რესტავრაცია

მოსკოვის გაზეთები იუწყებიან, რომ კიევში დაიწყო მუშაობა სოფიის ტაძრის აღსადგენად. როგორც ცნობილია, ეს ტაძარი ააშენა თავადმა იაროსლავ ვლადიმერის-ძემ 9 საუკუნის წინათ, პაჭანაკებზე მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად, ტაძრის მშენებლობაში მონაწილეობას იღებდნენ იმდროის შესანიშნავი ოსტატები, — ხუროთმოძღვრები, მხატვარნი და მოქანდაკენი. ამ ტაძრის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაგებობა იყო მე-17-18 საუკუნეებში აშენებული სამრეკლო, რომლის სიმაღლე 76 მეტრს უდრიდა.

რუსული ხუროთმოძღვრების ეს შესანიშნავი ძეგლი გერმანელმა ვანდალებმა დაანგრიეს, მათ გერმანიაში წაიღეს სოფიის ტაძარში დაცული მიხეილის მონასტრის წარმტაცი ფერწერითი მხატვრობა, კიევის რუსეთის ადრინდელი ფეოდალური პერიოდის არქიტექტურის განყოფილების ექსპოზიცია და მრავალი სხვა განძეულობა.

ამჟამად მიმდინარეობს სოფიის უძველესი აკროპოლის აღდგენა. პირველ რიგში რესტავრირებული იქნება სატრაპეზო, სამიტროპოლიტო სასახლე და სამრეკლო. სარესტავრაციო სამუშაოებს ხელმძღვანელობას უწევენ სტალინური პრემიის ლაურეატი პროფ. ვ. ზაბოლოტნი, პროფ. პ. ალიოშინი. პირველი რიგის აღდგენითი სამუშაოებისათვის უკრაინის მთავრობამ 1 მილიონი მანეთი გადასდო.

რთველი. სურათი თამარ აბაკელიასი.

იაკობ მანსვეტაშვილი

23 მაისს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, თბილისში გარდაიცვალა უხუცესი საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი და ლიტერატორი იაკობ მანსვეტაშვილი.

განსვენებული იყო მე-19 საუკუნის 80-90-იანი წლების საზოგადოებრივი ცხოვრების თვალსაჩინო ფიგურა, რომელსაც მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ქართული პრესის წინაშე.

ი. მანსვეტაშვილი დაიბადა 1855 წელს ს. ნორიოში (გარეკახეთი). პირველდაწყებითი სწავლა ადგილობრივ სკოლაში მიიღო. 1863 წელს მშობლებს იგი შეჰყავთ თბილისის სასულიერო სასწავლებელში, სადაც იმ დროს მასწავლებლობდნენ შემდეგში ცნობილი მოღვაწეები იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, გ. იოსელიანი. ამ დროს სემინარიაში ყალიბდებოდა თვითგანვითარების არალეგალური წრეები. მოწინავე ახალგაზრდობა, რომელსაც იაკობიც ეკუთვნოდა, ამ წრეებში ეცნობოდა და ეტაცებოდა რადიკალური მიმდინარეობის პუბლიცისტების — ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, პისარევის ნააზრევს, ევროპის უტოპისტთა ნაწერებს, რუსეთის მხატვრული სიტყვის კორიფეების — პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის, ნეკრასოვის, რილეევის და სხვა დიდი რუსი მწერლების შემოქმედებას. ასეთ ვითარებაში ზემოხსენებული ქართველი პედაგოგების გავლენით ყალიბდებოდა ჭაბუკი იაკობის მორალურ იდეური თვითშეგნება.

სემინარიის დამთავრების შემდეგ ი. მანსვეტაშვილი გაემგზავრა პეტერბურგს და შევიდა უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. ეს ის დრო იყო, როცა მოწინავე სტუდენტობა, იკისრა რა მესამოცე და სამოცდამეათე წლების რადიკალური იდეების მასაში გატანა და დანერგვა, აქტიურად ჩაება რევოლუციური მოძრაობის ფერხულში. უნივერსიტეტში შესვლის პირველი წლიდანვე ი. მანსვეტაშვილი ამ მოვლენების თვითმხილველი გახდა, მთელი მისი სიმპატიები ახალი, პროგრესიული თაობის მხარეზე იყო.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ი. მანსვეტაშვილი საქართველოში დაბრუნდა და 1886 წლიდან მუდმივი თანამშრომლობა დაიწყო ილია ჭავჭავაძის „ივერიაში". იმთავითვე მანსვეტაშვილმა ყურადღება მიიპყრო, როგორც მახვილი კალმის ჟურნალისტმა, რომელიც „ლოთ-იაგოს" ფსევდონიმით აქვეყნებდა ფელეტონებს მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე. იმდროინდელ პრესაში მას სხვადასხვა ფსევდონიმით დაბეჭდილი აქვს დიდძალი პოპულარული მეცნიერული სტატია, კრიტიკული წერილი, რეცენზია, ქართული პერიოდიკის მიმოხილვა, მოთხრობა, ნარკვევი და სხვ. ამავე დროს იგი საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის" მუდმივი თანამშრომელიც იყო. ი. მანსვეტაშვილს მარტო ლიტერატურული მუშაობით როდი შემოუფარგლავს თავისი მოღვაწეობა, იგი სხვა ხასიათის საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა. ერთხანს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივანიც იყო. მისი თაოსნობით დაარსდა ამ საზოგადოების პირველი წიგნის მაღაზია, რომელიც საქართველოს ქალაქებსა და დაბა-სოფლებში ავრცელებდა ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს. მანსვეტაშვილის თაოსნობით ჩამოყალიბდა წიგნების საგამომცემლო საზოგადოება, რომელიც ბეჭდავდა ქართულ პერიოდულ გამოცემებს და ჩვენი დიდი მწერლების თხზულებებს.

მიმდინარე საუკუნის დამდეგიდან ი. მანსვეტაშვილი თანდათან შორდება საჟურნალისტო-სალიტერატურო მოღვაწეობას და ხელს ჰკიდებს პრაქტიკული ხასიათის მუშაობას სამეურნეო ასპარეზზე.

მწერლობას ი. მანსვეტაშვილი მხოლოდ ამ 15 წლის წინათ დაუბრუნდა. მან დასწერა მოგონებები, რაც „ნახულისა და გაგონილის" სახელწოდებით ჯერ ჟურნალ „მნათობში" დაიბეჭდა, ხოლო შემდეგ, 1936 წელს, ცალკე წიგნადაც გამოვიდა. ეს მემუარები 80-90-იანი წლების საქართველოს და ნაწილობრივ რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების მეტად საინტერესო და საგულისხმო მატიანეა. მემუარების ცენტრი ილია ჭავჭავაძე და მის გარშემო თავმოყრილი ქართული საზოგადოებრიობაა. არ არის არც ერთი იმდროინდელი მნიშვნელოვანი მოვლენა, არც ისეთი საზოგადოებრივი ფიგურა, რომელთა დახასიათებასაც ი. მანსვეტაშვილის მემუარები არ შეიცავდნენ.

ცოცხალი, სხარტი ენით დაწერილ ამ წიგნს, რომელიც დიდი ინტერესით და ხალისით იკითხება, გვერდს ვერ აუხვევს გასული საუკუნის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ლიტერატურის მკვლევარი.

მკითხველიც ამ წიგნის ავტორს ყოველთვის მადლობის გრძნობით მოიგონებს.

შალვა დადიანი, ლიო ქიაჩელი, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, კირონტი ქიქოძე, ლევან ასათიანი, ნინო ნაკაშიძე, თედო სახოკია, სანდრო ეული, ილია აგლაძე, გიორგი ჯიბლაძე, გიორგი ნატროშვილი, ვანო წულუკიძე.

ქრონიკა

ეკ. გაბაშვილის ხსოვნის საღამო პიონერთა სასახლეში

პიონერთა სასახლის ლიტერატურულმა წრემ თავისი მორიგი საღამო მიუძღვნა ეკატერინე გაბაშვილის ხსოვნას.

დიდ დარბაზის ფოიეში ამ საღამოსათვის პიონერებმა მოაწყვეს ეკ. გაბაშვილის ნაწარმოებთა გამოფენა. სცენა მორთეს ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და ეკ. გაბაშვილის პორტრეტებით.

საღამო დაიწყო ვაკის მე-7 სკოლის მოსწავლის ნიკოლოზ ამირაჯიბის შესავალი სიტყვით. საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ პიონერები ნ. ელიავა, ა. ახმეტელი, რ. ცერცვაძე, ზ. თოთიბაძე. მათი გამოსვლების თემა იყო „სამშობლო", „სოფელი და გლეხი ეკ. გაბაშვილის შემოქმედებაში", „ეკ. გაბაშვილის ენა" და სხვ.

დასასრულ, მოწაფეებმა წაიკითხეს ეკ. გაბაშვილისადმი მიძღვნილი გ. ქუჩიშვილის, გ. კაჭახიძის და სხვა პოეტების ლექსები, ბოლოს წარმოდგენილ იქნა სასცენოდ გადაკეთებული მოთხრობა გაბაშვილისა—„თამროს შეხვედრა".

დ. შენგელაიას „მერხეული"

სახელგამმა ამ დღეებში გამოსცა დემნა შენგელაიას ახალი მოთხრობა „მერხეული". ამ ნაწარმოებმა, რომელიც ადრე „ლიტერატურასა და ხელოვნების" ფურცლებზე გამოქვეყნდა—უკვე დაიმსახურა მკითხველისა და ლიტერატურული საზოგადოებრიობის მაღალი შეფასება. მოთხრობა დაწერილია კავკასიის გმირული დაცვის თემაზე. მოთხრობაში ფსიქოლოგიური სიღრმით და რეალისტური საღებავებით დახატულია ქართველი ხალხის საყვარელი შვილის ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** პორტრეტი.

„მერხეული" გამოვიდა ს. ჩიქოვანის რედაქტორობით. წიგნი შეიცავს 36 გვერდს და ღირს 2 მანეთი.

დ. სულიაშვილის „თევდორე"

„საბჭოთა მწერალმა" გამოსცა დავით სულიაშვილის ისტორიული მოთხრობა „თევდორე". მასში გადმოცემულია ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ გასწირა საკუთარი სიცოცხლე სამშობლოს კეთილდღეობისათვის ქართველმა პატრიოტმა—მოხუცმა თევდორემ, როცა ლუარსაბ მეორის მეფობის დროს საქართველოს თურქთა ჯარები შემოესივნენ. მოთხრობის შინაარსი აღებულია ჩვენი ძველი მატიანიდან.

წიგნი შეიცავს 31 გვერდს და ღირს 5 მანეთი.

ი. გრიშაშვილის „სამი ამბავი"

საბლიტგამმა გამოსცა ი. გრიშაშვილის ახალი საბავშვო წიგნი „სამი ამბავი". წიგნში მოთავსებულია „მუსტაფას ვირი", „მელა და ძაღლი" და „ბაბაჯანას ქოშები". სამივე ლექსის შინაარსი ავტორს აუღია თბილისის ქალაქური ფოლკლორიდან.

წიგნს დართული აქვს ტექსტში ნახმარი, ზოგიერთი ნაკლებად ცნობილი სიტყვების განმარტება; გარეკანი და ილუსტრაციები ეკუთვნის მხატვარ ლადო გუდიაშვილს.

წიგნი შეიცავს 20 გვერდს და ღირს 10 მანეთი.

გ. ქუჩიშვილის „ჩიტუნები"

საბლიტგამმა გამოსცა გიორგი ქუჩიშვილის საბავშვო ლექსების კრებული „ჩიტუნები". იგი ცოცხალი ენით არის დაწერილი და ხალისით იკითხება. ყოველი ლექსი მიძღვნილია რომელიმე ფრინველის დახასიათებისადმი. წიგნი ლამაზად არის ილუსტრირებული მხატვარ სოსო გაბაშვილის მიერ.

„ჩიტუნები" გამოცემულია ერ. ასტვაცატუროვის რედაქტორობით და ღირს 6 მანეთი.

რუსეთის თეატრალური ცხოვრება

მოსკოვის თეატრებში

მოსკოვის თეატრები იმუშავებენ მთელი ზაფხულის განმავლობაში. ამ მიზნით გრძელდება ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობა ახალი სპექტაკლების დასადგმელად. დაიდგმება, როგორც კლასიკური პიესები, ისე თანამედროვე დრამატურგების ახალი ნაწარმოებები.

„უკანასკნელი მსხვერპლი" მოსკოვის სამხატვრო თეატრში

მოსკოვის სამხატვრო თეატრის უახლოესი პრემიერა იქნება ა. ოსტროვსკის კომედია „უკანასკნელი მსხვერპლი", რომელსაც სდგამს ამ თეატრის მხატვრული ხელმძღვანელი ნ. ხმელიოვი. ტუგინას როლს ასრულებს ა. ტარასოვა, ფლორ ფედულიჩის — ო. მოსკვინი, დულჩინის — მ. პრუდკინი, დერგაჩევის — ვ. ტოპორკოვი, ირინას—ლ. ლაბზინა, მიხევნას —ნ. სოკოლოვსკაია.

„შეხვედრა ბნელში"

მოსკოვის საბჭოს სახელობის თეატრი ამთავრებს მუშაობას ფ. კნორეს პიესის („შეხვედრა ბნელში") დასადგმელად, პიესა ასახავს საბჭოთა ქალის გმირობას. ახალგაზრდა ქალის როლს, რომელმაც გერმანელების მიერ ოკუპირებულ ქალაქში სიკვდილს გადაარჩინა რუსი მეომარი, ასრულებს ვ. მარეცკაია. სპექტაკლს სდგამს—ი. ზავადსკი.

ალექსეი ტოლსტოის „დედა არწივი" მცირე თეატრში

მცირე თეატრის მთავარ სცენაზე ახლო ხანში განხორციელებულ იქნება ალექსეი ტოლსტოის დრამატიული პოემის „ივანე მრისხანეს" პირველი ნაწილი „დედა არწივი". სპექტაკლს სდგამს ი. სუდაკოვი, ივანე მრისხანეს როლს შეასრულებს ნ. სოლოვიოვი, მისი მეუღლის მარია ტემრიუკის ასულის როლს—დ. ზერკალოვა, ბოიარინა ეფროსინეს—ვ. პაშენნაია. პირველი სპექტაკლი ნაჩვენები იქნება ივნისში.

მცირე თეატრის ფილიალში მალე ნაჩვენები იქნება ა. ოსტროვსკის პიესა „დამონებულნი", რომელიც კარგა ხანია არ დადგმულა მოსკოვის თეატრების სცენაზე.

ვ. სოლოვიოვის ახალი პიესა „დიდი ხელმწიფე" ვახტანგოვის სახელობის თეატრში

ვახტანგოვის სახელობის თეატრში ამჟამად მიმდინარეობს რეპეტიციები ვ. სოლოვიოვის ახალი პიესის „დიდი ხელმწიფის" განსასახიერებლად. ეს პიესა ივანე მრისხანის სახელმწიფო მოღვაწეობას და პირად ცხოვრებას ასახავს. პიესას სდგამს რ. სიმონოვი. ივანე მრისხანის როლი დაკისრებული აქვს მსახიობებს ა. დიკის და ო. ტოლჩანოვს.

ამავე თეატრში უახლოეს პრემიერად წავა ა. ოსტროვსკის „ჭექა-ქუხილი" რომელსაც რეჟისორი ბ. ზახავა დგამს. კატერინას როლს შეასრულებს ე. ალექსეევა.

შავი მთა

(დასასრული)

ცრემლივით, თითო წვეთად ჩამოდიოდა ნამი რომ დაეცემოდა ხოლმე. ჰაერი ისე ირყეოდა, რომ ფანჯრებს ლეწავდა და ისე მაგრად ჩამოჰბერტყავდა ხოლმე ხის ტოტებს, რომ წვეთები წვიმასავით ცვივოდნენ მიწაზე.

ირგვლივ ყველაფერი ტიროდა.

— მოდიანო—დაიძახა უცებ ვილაცამ — ატყდა აურ-ზაური. გავხედე მეც და როცა ქუჩაზე შემოსული სამხედროები დავინახე, ვიცანი, რომ ეს გერმანელები კი არა, ჩვენები, რუსები იყვნენ.

წითელარმიელები შემოვიდნენ სოფელში და გამაგრდნენ. გატალახიანებული იყვნენ. საშინლად დაქანცულიყვნენ და მაინც აჩერებდნენ მტერს, სოფელში არ უშვებდნენ.

ვიდრე ისინი ბრძოლაში იყვნენ—მეც გულზე ხელდაკრეფილი არ ვყოფილვარ, საჩემო საქმე გამოვძებნე. რა დიდხანს გაუძლებდნენ ეს ერთი მუჭა მეომრები ამდენ მტერს, ესეც იყო, უკანდახევა ჰქონდათ ნაბრძანები. ვიფიქრე ცხენებს ავურჩევ-მეთქი. ჯერ რაც საოფლეები, უნაგირები და მოსართავები მოიძებნებოდა საწყობში და მთელ სოფელში, ისინი შევაგროვე, ეზოში დავყარე.

გულით მოვიწადინე, ყველაზე საუკეთესონი ავარჩიე. ნახევარზე მეტი უკვე შეკაზმული მყავდა, რომ ბიჭებმა ცხენები მოითხოვეს. ბოლოს სულ გადირიენ ცხენები: ლაგმის პირსა, სჭამდნენ გაშმაგებით, ფრთქვინამდნენ და წინა ფეხებსა სცემდნენ მიწაზე. აი კიდევაც მოასხდნენ მხედრები და ტყისაკენ წავიდნენ. ის იყო მიჰფარდნენ თვალს, რომ შორით, აი იმ ქუჩის ბოლოში გერმანელები გამოჩნდნენ.

ძლივს მოარღვევდნენ ტალახს, მოდიოდნენ უამრავნი. ის იყო შემოვიდნენ და ყვირილით აივსო სოფელი. ყოველ განკარგულებას ყვირილით აძლევდნენ თავისიანებსაც კი. ისეთი გნიასი იდგა, სოფელში მთელი საძაღლეთი რომ აყეფდება ხოლმე წყნარ ღამეში თოფის გასროლაზე. ჯერ შეჯგუფდნენ, მერე დაიშალნენ და ეზოებში დაეფანტნენ.

რა ამბავი იქნებოდა სოფელში,—ამაზე სიტყვას აღარ გაგიგრძელებთ. ეს თქვენ თითონ კარგად იცით, რას ნიშნავს სოფელში გერმანელების გამოჩენა. თუნდა ცეცხლი წაჰკიდებია სოფელსა და თუნდა შიგ გერმანელი შესულა, თუნდ წარღვნა მოსულა და თუნდ ეს ძაღლთა პირები მოშავებულან, — ეს სულ ერთი და იგივეა.

ასე მოედვნენ მთელ სოფელს.

ჩემს ქოხში რომ შევედი და თაროებზე თასმის ქამრები, ბრჭყვიალა ღილებიანი პორტუპეები რომ დავინახე,—შემაჟრჟოლა. აქაც დაბინავებულან, ჩემს ოჯახშიც ჩამოსახლებულან. დამსხდარან და ჩაისა სვამენ. მთელი სოფელი გადაჩხრიკეს. სადაც გაშლილი ლოგინი დაინახეს, ყველას საბანი გადაჰხადეს, — ეგონათ წითელარმიელებსა ჰმალავენო. ზვინებიც კი ხიშტებით დაჩხვლიტეს. ბოლოს მეზობლისას გერმანელმა კაპიტანმა დაჭრილი რუსი ლეიტენანტი იპოვნა. ამბობდნენ კარგად ჰყავდათ დამალული და მაინც მიაგნესო. კაცი უგრძნობლად იყო სისხლის დაკარგვის გამო და როცა გონზე მოვიდა, უკვე ტყვედ იყო.

იმავე წუთში, იქვე, ხელები შეუკრეს და დაკითხვაზე წაიყვანეს.

დაკითხვას ახდენდა გერმანელი კაპიტანი, რომელსაც თან თარჯიმანი ახლდა.

ის სანახავი, რაც იქ მოვიხილეთ, ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება. გაგიგონიათ, რომ ხელებშეკრულმა, უიარაღომ, დაჭრილმა, სისხლისაგან დაცლილმა კაცმა კბილებამდე შეიარაღებულ კაცს აჯობოს? ასეთი რამ არ გინახავთ? მეც პირველად ეს იმ დღესა ვნახე.

გერმანელმა რაღაც უთხრა თარჯიმანს. იმანაც გადაუთარგმნა დაჭრილს: ბატონი ოფიცერი ზუსტ ცნობებსა თხოულობს, და პირველ რიგში, მას აინტერესებს გვარები თქვენი დივიზიის, პოლკის, ბატალიონის მეთაურებისაო.

— შენ გგონია მე მაგას პასუხს გავცემ,— უთხრა დაჭრილმა თარჯიმანს,—გადაეცი, რომ ლაპარაკი არა მსურს.

თარჯიმანმა გადათარგმნა.

გერმანელს ავმა ფერმა წამოუარა.

— უთხარი სთქვას ყველაფერი... მაგისთვის უკეთესია.—გადასცა მან ტყვეს თარჯიმანის საშუალებით.

დაჭრილი მხოლოდ სდუმდა.

— ბატონი ოფიცერი ბრძანებს, — განაგრძო თარჯიმანმა, — თუ ახლავე არ ილაპარაკებ, დაგხვრეტს აქვე, ამავე ოთახში... ჩემივე ხელით გაგათავებო!

— როგორ? ეს მომკლავს? ეს? — წამოიძახა დაჭრილმა და თვალით აჩვენა კაპიტანზე — გადაეცი, რომ ვერ მომკლავს! უთხარი, რომ მე მაგის დედა... კარგად და ზუსტად გადაუთარგმნე, უთხარი, რომ მე მიმიფურთხებია მაგისათვის...

ისეთი მაღალი, ისეთი უძლეველი ჩანდა მაშინ ის ტანმორჩილი ბიჭი, რომ როცა გერმანელმა იარაღზე იტაცა ხელი და უცებ იმის თვალებს წააწყდა, — შეცბუნდა. წახდა, დაიბუნდა: ბიჭობით აჯობა დაჭრილმა, ვაჟკაცობით, სულით. პისტოლეტი ვეღარ ამოიღო ბუდიდან იმან, ვისაც ირგვლივ ხუთასი ჯარისკაცი მაინც ეხვია და ეს ბიჭი კი მარტო იყო. მერე გერმანელი თითქოს გამოერკვაო, გაექანა, სახეში ხელი გაარტყა დაჭრილს, დასცა ძირს და ჩქარი ნაბიჯით მოშორდა იქაურობას.

ის საწყალი კი ჯერ აწამეს, მერე ჩამოაღრჩეს.

ის ახლა რომ ასეთი იყო, ნეტავ იარაღში რა იქნებოდა?!..

სიკვდილი გაშოროთ ბიჭებო ღმერთმა, დღეგრძელნი ყოფილიყავით, მაგრამ თუ როდისმე ომში ის ტიალი წამოგეწევათ, — ნეტავ ასეთი სიკვდილი შეიძლოთ! განა ასეთი სიკვდილი სიკვდილია!

შეღამდა და სოფელი როდი დაწყნარდა, ძაღლის წინ რომ მიჩუმდება და გაიტრუნება ხოლმე ქვეყანა. ერთი კაცივით ვმინავდა სოფელი იმ კაპიტანმა აიკლო მთელი სოფელი! ეხ. ვინ ჩამოსთვალოს, რაც იმან ჩაიდინა.

მე ისევ ქოხში დავბრუნდი. სალდათები ღაღლილები იყვნენ. ახალი ნამჯა შემომატანინეს, დაფინეს იატაკზე, მაუდის საბნები გადააფარეს და დაიძინეს.

ის ღამე ისე გავატეხე. თვალი ვეღარ მოვხუჭე, და განა მარტო მე? მთელმა სოფელმა თეთრად გაათენა ის ღამე.

• • •

არა მძინავს ასე და ღამის ხმაურს ყურს ვუგდებ. მოდის წვიმა, თან მოდიან და მოდიან სოფელში ახალი ნაწილები, მოდის აურაცხელი ჯარი, ვეღარ მოვითმინე, გამოვედი, ისევ თავლისაკენ გამიწია გულმა.

ჭრაქებივით ბოლავდნენ იმ ღამეში იმათივე მაშხალები და სიბნელეს მაინც ვერა ჰფანტავდნენ.

ხელის ფათურით მივდივარ ბნელში. რაღაც ლანდი შევამჩნიე. კაცს არა ჰგავდა. როცა მივუახლოვდი ცხენის თბილ ბალანს მოჰხვდა ხელი. გადაუსვი ხელი ფაფარზე და ვიცანი. ეს იყო საუკეთესო ფაშატი, სახელად რეზვაია, იმ დღეს როგორღაც მიჰფარებოდა თვალსა და ახლა-ღა ვიპოვნე. ამასაც მივმალავ-მეთქი, წავიყვანე, სოფლის ბოლოს საბძელში ჩავკეტე და ნამჯა დავუყარე.

მერე გამოვბრუნდი, ის იყო თენდებოდა უკვე, როცა სოფელში იმათი სატრანსპორტო ასეული შემოვიდა.

ცხენები ტალახს ისე შეეწუხებინა, რომ ფეხებს ძლივს-ღა მოათრევდნენ.

ხან ერთი ცხენი დაუვარდებოდათ, ხან მეორე... თქვენ ჩემზე უკეთ იცით, ქეციან ცხენს არმიაში ვინ გააჩერებს. და ძალზე გამიკვირდა, როცა იმათ სატრანსპორტო ასეულში ქეციანი ცხენები შევამჩნიე.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, თურმე გადაწყვიტეს ცხენები აქ შეეცვალონ. არ ვიცი როგორ, და კითხვის-კითხვით მომაგნეს. მიბრძანეს ცხენები აარჩიე, ერთი საათის მერე თავლაში ფელთფებელი მოვა და ჩაიბარებსო...

გამოვბრუნდი და წამოვედი. დავიწყე ცხენების შეგროვება.

წეღანაც გეუბნებოდით, ცხენის არჩევასა და ცნობაში, კვიცხნით არ ვიტყვი, ახლო-მახლოს ბადალი არა მყავს. იმდენი ღამე სახლში არ გამითენებია, რამდენიც თავლაში. ახლა კი სიფრთხილეც დავკარგე: სწორედ ავადმყოფები, უხეიროები, დავარდნილები თუ სადმე მოიძებნებოდნენ, ისინი ავურჩიე. ერთი წაბლა ჰაკი იყო, გულის წასვლა იცოდა — ისიც იმათ მივაყოლე, ბოლოს ერთი ბრმა ცხენიც შევაყოლე, ამ არჩეულების რიცხვში, ამასობაში დავინახე ფელთფებელიც დაბარებულივით მოდის თავლისაკენ: ძალზე მაღალი კაცი იყო.

დაჰხედა იმ ოხერმა ცხენებსა და არც ერთი არ მოუვიდა თვალში.

— ეს რა არისო,—მიყვირა იმ ცხენის დანახვაზე, რომელსაც შუბლზე იმომწვარი ჰქონდა.—ეს ხომ ავადმყოფია, ყურებიც ჩამოყრილი აქვს...

იმავე წუთს შევეჭვდა და წარმოიდგინეთ ჯერ წლოვანების გასაგებად კბილები დაუსინჯა ცხენებს, მერე იმისი შემოწმებაც კი დაიწყო,—ბრმები ხომ არ არიანო. ბრმა მარტო ერთი იყო. ის კი ყოველ ცხენს თვალებს წინ ხელებს აუქნევდა, — ხედავს თუ არაო. ბოლოს კი ბრმასაც მიადგა, მიხვდა, რომ ვატყუებდი, ბრაზმორეული მომიბრუნდა. ხელში აღვირი ეჭირა, სახეზე მთელი ძალით გადამკრა. მერე რევოლვერზე იტაცა ხელი, რომ მოვეკალი. დავასწარ, რკინის ფიწალი ეგდო მიწაზე. ვტაცე ხელი და საფეთქელში დავარტყი. წაიქცა, ერთი-ორჯერ გაიქნია ფეხი და სული დალია.

ამხელა ოხერ-ტიალი გდია ჩემს წინ გაშხლართული. აი საცაა მოიკითხავენ, მოვლენ, სად დავმალო...

უცებ ელვასავით გამირბინა ფიქრმა: ზვინები აქვე ახლოს იყო, ავიღე თივა და მკვდარს დავაყარე... ჯერჯერობით დამარხულია და მერე ვნახოთ. გამოვბრუნდი, მოვშორდი თავლას. ვიფიქრე ეხლა ტყისაკენ გავიქცევი-მეთქი. მაგრამ ქუჩაზე ჩემსკენ გერმანელები მოდიოდნენ.

სულ ახლოს მოვიდნენ, აბა რას იფიქრებდნენ, რომ აქვე. თივის ქვეშ იმათი ფელთფებელი თავგახეთქილი, გაშხლართული ეგდო. მერე გამცილდნენ და წავიდნენ.

ვიცოდი ჩქარა მოიკითხავდნენ დაკარგულს... ჩემი აქ ყოფნა აღარ შეიძლებოდა. ამიტომ მეც ტყეს მივეცი თავი... აქამდე ვპარტიზანობდი, ეხლა კი, როცა ჩემს სოფელს ისევ თქვენ დაუბრუნდით. ვიფიქრე, წავალ, დავხედავ მეთქი... და აი თქვენც შეგხვდით, ბიჭებო...

მე იმათ ტყვეებში და დახოცილებში იმ კაპიტანს ვეძებდი. არ არის.. ალბათ, პირველი გაიქცა, მაგრამ სად წავა.., ამ სოფელში გადარჩა?... აი გადაღმა, იქით სადმე იმასაც დაეწევა ცხელი ტყვია..

• • •

ასე დაამთავრა თავისი ამბავი ჩვენმა გამყოლმა, მოხუცმა მეჯინიბემ. ამ ლაპარაკში ქოხიც სულ დამწვარიყო, აღარაფერი დარჩენილიყო ნასახლარზე, იქ მარტო გამურული, მზურვალებისაგან დაღვარჩნული და შუაში მოგრეხილი ავტომატები-ღა ეყარა ცხელ ნაცარში.

— ჩემი ქოხიც აი ეს იყო,—სთქვა ბოლოს მოხუცმა და თითით გვიჩვენა ნახანძრალზე, საღლა მიგიპატიჟოთ ბიჭებო, რით-ღა გაგიმასპინძლდეთ?!

სარედაქციო კოლეგია:
ო. ეგაძე, გ. ნატროშვილი (პ.-მგ. რედაქტორი), შ. რადიანი, ზ. ქიქოძე,
ს. ჩიქოვანი, ვ. წულუკიძე, მ. ჭიაურელი.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახახლე), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 00172